BLACK

„ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ სოლიდარობას უცხადებენ

N88/3018/ 11 ივნისი 2014 წ PRESS ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რა ინფორმაციებს ემსხვერპლნენ პაატა ქარდავა და დავით ცინდელიანი?



## პარლამენტი სასამართლოს უკანონო განაჩენების შესწავლასა და სასამართლო სისტემის შეცვლას აპირებს



# სწრაფი სესხებით ოჯახებს ქუჩაში დარჩენა ემუქრებათ?

### საბანკო ექსპერტი მოსალოდნელ საფრთხეებს შიფრავს

## კეზერაშვილს თავისუფლება 20 მილიონი დაუჯდა?



## ნანა დევდარიანი: „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართველი ხალხის წინაშე თავი მოიჭრა“



# ყველას! ყველას! ყველას!

წლებია, „ალია“-„ქრონიკას“ უამრავი ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური ზეწოლისა თუ ფინანსური მარწუხებისა და წნეხის ქვეშაც კი არ გადაუხვევია მთავარი პრინციპისთვის – არასდროს უთქვამს თეთრზე, შავიაო! ამიტომაც დაგვსაჯეს და ჩვენი პრინციპულობა, სიმართლე 53500 ლარი დაგვისვეს („ფრესკოს“ „აყროლებული ქათმის“ სტატია კი 6500 ლარად შეგვიფასეს)! გაზეთისთვისაა ეს დიდძალი თანხა, თორემ ზოგიერთისთვის ერთი თვის პრემიაა. სამართლებრივად, პროტესტის სხვა ყველანაირი ფორმის გამოხატვითაც კი, აყროლებული ქათმებითაც რომ გავავსოთ დაბრმავებული ქართული სამართალი, ან კუბლაშვილი თავის მოსამართლეებიანად (თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, მაია ბაქრაძე, ვანო წიკლაური, თამაზ ურთმელიძე) – განაჩენი არ შეიცვლება, საბოლოოა და თანაც უტიფრად თავხედური – გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებაო. რადგან სიმართლის თქმისთვის ფულს გვთხოვენ, იძულებული ვხდებით, ქართულ ისტორიაში გაზეთისთვის უპრეცედენტო ჯარიმის გადასახდელად „თიბისი ბანკში“ სპეციალური ანგარიში გავხსნათ:

**GE30TB7568636020100001**

ყველას, ყველას, ყველას, ვისაც გწამთ ჩვენი და გჯერათ, რომ ორ ათწლეულზე მეტია, „ალია“-„ქრონიკას“ სიმართლე ტყუილად არ უწერია, დაჩაგრულის დასაცავად ტყუილად არ უბრძოლია! ახლა გვჭირდებით, რომ თუნდაც სიმბოლური ერთი ლარით გამოხატოთ თქვენი პოზიცია, ერთად შემოვულაწუნოთ ქართულ, გამომძალველ, დაბრმავებულ სასამართალოს, ვინძლო გამოფხიზლდეს.

რა მნიშვნელობა აქვს, ვის მხარესაა სიმართლე, უკვე მთავარია, ვის უჭირავს იარაღი, ანუ ფული.


**პირველი შემოწირულობა ანგარიშზე უკვე შეიტანეს:**

**1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ბესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“ – 100, 35. ნოდარ ბუღაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დავლოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10.**

**მადლობა მათ თანადგომისთვის.**

## „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ სოლიდარობას უცხადებენ

REPORTIORI.GE

დღეიდან „რეპორტიორის“ არც ერთი თანამშრომელი „ფრესკოს“ პროდუქციას არ იყიდის. მოვუწოდებთ საქართველოს ჟურნალისტურ ოჯახს: მხარი დავუჭიროთ და გვერდში დავუდგეთ გაზეთ „ალიას“, რომელსაც ებრძვიან იმიტომ, რომ თავისი მკითხველების, ანუ საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს იცავს“

# დავით ცინდელიანის გაუჩინარების საქმე გახსნილია

სატყეო დეპარტამენტის მეტყევე-რეინჯერ დათო ცინდელიანის გაუჩინარების საქმე გახსნილია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგენილია: 2008 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა კუდ-ის იმჟამინდელი ხელმძღვანელობისგან მიიღო დავალება, რომ მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში მცხოვრები, მეტყევე-რეინჯერი დათო ცინდელიანი ჩამოეყვანა სვანეთიდან ქალაქ თბილისში და მომხდარიყო მასთან გასაუბრება. მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, თითქოსდა დათო ცინდელიანი თანამშრომლობდა აფხაზ სეპარატისტებთან. კუდ-ის მაღალჩინოსნისთვის ცნობილი იყო, რომ 2008 წლის 16 აგვისტოს სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ქალაქ ქუთაისში დანიშნული ჰქონდა იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამმართველოს თანამშრომლების გაერთიანებული თათბირი, სადაც სხვა თანამშრომლებთან ერთად დაბარებული იყო დათო ცინდელიანიც.

2008 წლის 16 აგვისტოს, დაახლოებით 17:00 საათზე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც გადაადგილდებოდნენ „მერსედესისა“ და „ოპელის“ მარკის ავტომანქანებით, ქალაქ ქუთაისში, ნინოშვილისა და გრიშაშვილის ქუჩების კვეთასთან დახვდნენ „ნივის“ მარკის ავტომანქანას, რომელშიც სხვა მეტყევე რეინჯერებთან ერთად ისხდნენ დათო ცინდელიანი და მამამისი – ზაურ ცინდელიანი. დათო ცინდელიანი გადასვეს „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში, ხოლო ქუთაისი-ბაღდათის საავტომობილო გზის მონაკვეთიდან დათო ცინდელიანი ავტომანქანა „ტოიოტა ჰაილუქსით“ ბაღდათი-საირმის შემოვლითი გზით წაიყვანეს თბილისის მიმართულებით. მოგვიანებით, ტელეფონით მიღებული დავალების შესაბამისად, დათო ცინდელიანი, ნაცვლად თბილისისა, ჩაიყვანეს ქალაქ ბათუმში და გადასცეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს უფროს რომან შამათავას. რომან შამათავამ და მისმა რამდენიმე თანამშრომელმა დათო ცინდელიანი მიიყვანეს ქალაქ ბათუმში, შავი ზღვის ნავმისადგომთან, სადაც შამათავა ცინდელიანს აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა, რასაც ის უარყოფდა.

შამათავას დავალებით, ზემოაღნიშნულ პირებს ნავმისადგომთან ელოდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუდ-ის მთავარი სამმართველოს კუთვნილი მოტორიანი ნავი, რომელსაც მართავდა ამავე დანაყოფის თანამშრომელი. რომან შამათავამ დათო ცინდელიანი ჩასვა აღნიშნულ ნავში, აუხვია თვალები და ნავმისადგომზე მყოფ აფხაზეთის კუდ-ის ერთ-ერთ თანამშრომელს ნავიდან უბრძანა, რომ გაჰყოლოდა მას, რომელმაც შეასრულა ბრძანება და შევიდნენ შავი ზღვის სიღრმეში, დაახლოებით 4 კილომეტრის მანძილზე. რომან შამათავამ ცეცხლსასროლი იარაღიდან თავის არეში ერთი გასროლით მოკლა დათო ცინდელიანი. ამის შემდეგ დათო ცინდელიანის გვამს სხეულზე თოკით შეაბა ნავზე არსებული ბეტონნარევი რკინის ღუზა და ცხედარი შავ ზღვაში გადააგდო. ჩადენილი დანაშაულისთვის რომან შამათავა მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ბრალდებით, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. საქმეზე გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველო“, – განაცხადა შსს-ს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა.



როგორც დავით ცინდელიანის დედა, თამარ არღვლიანი აცხადებს: „ჩემი შვილი მოკლეს იმიტომ, რომ ის დაუპირისპირდა კუდ-ის თანამშრომლებს. როცა მათ დატოვეს კოდორის ხეობა და სვანეთში დაბანაკდნენ, დათო მათთან მივიდა და უსაყვედურა უიარაღოდ კოდორი რატომ დატოვეთ და რატომ ჩააბარეთ მტრებსო. ამის შემდეგ ჩემი შვილი მალევე დაიბარეს ქუთაისში რეინჯერთა კრებაზე, რომელიც წინასწარ იყო დაგეგმილი. შემდეგ კი მამას მანქანიდან გამოსტაცეს შვილი. რომან შამათავამ აღასრულა ახალაიას დაკვეთა. დათა ახალაია აუცილებლად უნდა დაისაჯოს“.

მისივე თქმით, „ამ საქმეში შამათავას გარდა, სხვა პირებიც იყვნენ გარეული, რომლებიც არ დასჯილან. დავით ქორქია, ვალერი აბსანძე, სერგო უბილავა (გარდაცვლილია), გია ბარამია – ეს ადამიანები მონაწილეობდნენ ჩემი შვილის გატაცებაში და ჩაუყვანეს ბათუმში რომან შამათავას. გარდა ამისა, სატყეოს უფროსი და მოადგილე – ჭკადუა და მამინაშვილი, რომელთაც ვითომ თათბირზე დაიბარეს ჩემი შვილი. დასაჭერები არიან, რადგან დათა ახალაიას დავალებით მოქმედებდნენ. მთავრობის შეცვლის შემდეგ ულიარებიათ კიდეც, რომ ზემოდან ჰქონდათ დავალება. 5 წელში 6 გამომძიებელი გამოიცვალა საქმემ. ექვსივე გვეუბნებოდა, ცუდზე არ იფიქროთ, ცოცხალიაო, ამ ჭორებით გაგვიხანგრძლივდა სიცოცხლე, მაგრამ დღეს ყველაფერი დასრულდა. ვთხოვ ყველას, ვინც ამ საქმეში ფიგურირებს, ყველა მკაცრად დაისაჯოს. შამათავას დასჯა არ კმარა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლებთ, რომ ყველა დაისაჯოს“.

თამარ არღვლიანი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეზობლებთან ერთად, თბილისში ფეხით მსვლელობას გეგმავს, სადაც საპროტესტო აქციას გამართავს. მისივე განცხადებით, თუ დათა ახალაიას ბრალს არ წაუყენებენ, მის გვარზე მოხდება სვანური წესით შურისძიება.

დავით ცინდელიანის მამის, ზაურ ცინდელიანის განცხადებით, მის შვილს „კამათი მოუვიდა აფხაზეთის კუდ-ის უფროსობასთან, იმიტომ, რომ ომის დროს კოდორელები მიატოვეს, გარდა ამისა, არჩევნებზე „ნაციონალების“ წინააღმდეგ იყო და ალბათ, ამ ყველაფრის გამო მოიშორეს“.

„დაგვიბარეს თათბირზე, ვითომ თათბირზე, წავედით, გზაში სხვა რეინჯერები შეგვხვდნენ, მანამდე ათასჯერ დაგვირეკეს. რეინჯერებმა, თქვეს, თათბირი მორჩაო და მობრუნება დავაპირეთ, მაგრამ დაგვირეკეს, მოდითო. წავედით, გზაში ქუთაისის გადასახვევს ავცდით და მიმართულების გასარკვევად გავაჩერეთ. ამ დროს მოგვადგა ორი ავტომობილი და დათო იკითხეს, სამოქალაქო ფორმაში იყვნენ ჩაცმულები. გადაიყვანეს ჩემი შვილი, მეც გადავედი და, რა ხდება-თქო, რომ ვიკითხე, სამმართველოში მოდი და გაიგებო, მიპასუხეს. მივბრუნდი მანქანასთან, მაგრამ სამმართველოში დაგვაგვიანდა, რადგან გასაღებიც მოიპარეს წასვლამდე. ამის შემდეგ იკარგება დათოს კვალი. მოგვიანებით გავიგეთ ის ვერსია, რომ შამათავამ მოკლა, თუმცა დარწმუნებულები არ ვიყავით. ყველაფერი დათა ახალაიამ დაგეგმა, დათო თბილისში მიჰყავდათ, მაგრამ მას დაურეკავს და უთქვამს, შამათავას ჩაუყვანეთ ბათუმშიო და იმის მერე რაც მოხდა, თქვენც კი იცით. ეს ყველაფერი გავიგეთ, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს არ მიგვიმართავს გამომძიებლებისთვის, რადგან ვიცოდით, არ გამოიძიებდნენ. მთავრობის შეცვლის შემდეგ ყველა გვარი და სახელი მივეცით საგამოძიებო უწყებებს და გამოიძიეს“.



**დამაჯერებელი მტკიცებულებები, ანუ, როგორც ამბობენ, საქმე აქ იყო ჩაწყობილი.**

– რასაკვირველია... მე, ასე თუ ისე, კარგად ვიცნობ ფრანგულ სასამართლოს, იქ ფულის აღება გამორიცხულია, ვერ გაბედავდნენ. აქედან რომ დამაჯერებელი მტკიცებულებები წასულიყო, ისინი ვერ გააკეთებდნენ იმას, რაც გააკეთეს. მათ ისიც თქვეს, თუ მტკიცებულებები იქნება, მაშინ კეზერაშვილს საქართველოს გადავცემთო, მაგრამ სად არის დოკუმენტები, ვინმემ ამაზე გააგრძელა მუშაობა? მე ამის შესახებ არ მსმენია, ყველა გაჩუმებულია და პირიქით, ბრალდებებიც მოუხსნეს. ვიმეორებ, დღეს ქართული სასამართლოს 70 პროცენტი ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ხელშია.

**— პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ**

მაგრამ უჭირს, თუ ინვესტიციები არ შემოვა, რა უნდა ქნას? ის ცდილობს, ბიუჯეტი, ასე თუ ისე, გაქაჩოს, მაგრამ ინვესტიციებია საჭირო. სხვათა შორის, დასავლური პრესა ბევრად გამოკეთდა საქართველოს ხელისუფლების მიმართ, 2012 წლის ბოლოს ძალიან ცუდი რაღაცები იწერებოდა. თუმცა ჯერ კიდევ არ არის ისეთი, რომ დასავლეთში დიდი ინვესტორები დაინტერესდნენ.

**— ამ წუთას ვკითხულობდი მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომელიც ამბობს, მზად ვარ, პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს დავეხმაროო.**

– არა, არა, რა დახმარება? პირიქით, ყველანაირად ცდილობს, ცუდი გაუკეთოს ახალ ხელისუფლებას, სააკაშვილის დაჯერება როგორ შეიძლება? მისი ოცნებაა, რაც შეიძლება მეტი გააფუჭოს, რომ ისევ მოვ-

ანებს პარტია არ აინტერესებთ, მთავარია, თანამდებობებზე იყვნენ და ფული აკეთონ. თუმცა ეს პოლიტიკური სიჯანსაღისთვის ძალიან ცუდია. დღეს საშიშია ის, რომ „ნაციონალებს“ პარლამენტში ჰყავთ მრავალრიცხოვანი დეპუტაცია და სასამართლო არის მათ ხელში. მე ვურჩევ პრემიერ-მინისტრს, სამთავრობო გუნდს გადახედოს, მას გაძლიერება სჭირდება.

**— ბიძინა ივანიშვილის მობრუნება ხომ არ არის საჭირო?**

– მე თავის დროზე არ მივესალმე იმ ამბავს, რომ ის წავიდა პოლიტიკიდან. ეს იყო დიდი შეცდომა. ის რომ პოლიტიკაში მობრუნდეს, ეს ყველაფერი თამაშის სახეს მიიღებს და დასავლეთი ვერ გაიგებს. მე კიდევ ერთი რამე არ მომეწონა ბიძინასი, როცა „ქართულმა ოცნებამ“

# კეზერაშვილს თავისუფლება 20 მილიონი დაუჯდა?

**საქართველოში, ფაქტობრივად, უკვე გამოიკვეთა ორხელისუფლებიანობა — „ნაციონალებს“ პარლამენტში ჰყავთ თავხედი და მრავალრიცხოვანი დეპუტაცია, ასევე, მათ ხელშია ე.წ. თავისუფალი სასამართლო.**

**„ალიას“ ესაუბრება ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა:**

**— ბატონო თენგიზ, მოდით, საუბარი ეკონომიკით დავიწყოთ. „ნაციონალები“ ამტკიცებენ, რომ ქვეყანა თავზე გვენგრევა და ეკონომიკა კატასტროფის წინაშეა, ჩვენი მთავრობა გვეუბნება, რომ ისეთი არაფერი ხდება და ეკონომიკა იზრდება. რომელია მართალი?**

– 2013 წელს მართლაც ჩავარდნა იყო, მაგრამ 2014 წლიდან გამოსწორდა, კარგად მიდის საქმე. აპრილში 9 პროცენტამდე ავიდა, ასეთი მაჩვენებელი იშვიათია. მთავარია, როგორ მუშაობს წარმოება, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთულ ინვესტიციებს, აქ ცოტა ვერ არის საქმე კარგად. შარშან ერთ-ერთ ინტერვიუში გითხარი, რომ ბიძინა ივანიშვილს ცოტა ზედმეტი მოუვიდა, როცა განაცხადა, 2013 წელს ინვესტიცია 2 მილიარდი იქნებაო, ამ დროს 1 მილიარდი ძლივს მივიღეთ.

**— ჯერ 2014 წლის დასაწყისის მონაცემები არ გვაქვს, ხომ?**

– ჯერ მონაცემები არ გვაქვს, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, ბევრი უცხოელი ინვესტორია ჩამოსული საქართველოში. უკვე დაიწყო შემოდინება, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია ისევ „ნაციონალების“ მოქმედება, მრეწველობის ბევრ სფეროში ჯერ კიდევ მაგათი ხალხი ზის. რეგიონებშიც გავლენა აქვთ და ფაქტობრივად, საბოტაჟს აწყობენ. ათასჯერ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, სამშენებლო ბიზნესი მაგათ ხელშია, რომელიც გააჩერეს. მშენებლობების 90 პროცენტს ისევ ეგენი აკონტროლებენ. სანამ „ნაციონალების“ დიდი ნაწილი პარლამენტშია, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში იქნება რყევები. პროკურატურა ავილოთ, სასამართლო ავილოთ. აგერაა კონკრეტული მაგალითი, თავდაცვის ყოფილ მინისტრს, კეზერაშვილს, რომელიც გაქცეულია, რანაირად მოუხსნეს ყველა ბრალდება?

**„მე ამ საქმეში ჩახედულმა ხალხმა მითხრა, თითქოს 20 მილიონი დოლარი ჩაყარა კეზერაშვილმა ამ საქმეში, რომ ყველაფერი ჩაეცხრო და პროცესები მოეგო“**

**— უარესს გეტყვით, კეზერაშვილმა ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძეს სასამართლოში უჩივლა და მოუგო, ახლა სასამართლოს გადაწყვეტილებით ხაჭაპურიძემ ბოდიში უნდა მოუხადოს კეზერაშვილს იმაზე, თითქოს პატივი და ღირსება შეულახა.**

– მე ამ საქმეში ჩახედულმა ხალხმა მითხრა, თითქოს 20 მილიონი დოლარი ჩაყარა კეზერაშვილმა ამ საქმეში, რომ ყველაფერი ჩაეცხრო და პროცესები მოეგო. საფრანგეთის სასამართლომ მტკიცებულებები მოითხოვა და მის ქონებას ყადაღაც დაადო, მაგრამ ამ დროს ქართულმა სასამართლომ მთლიანად გაამართლა. ასეთი კაზუსები ხდება იმიტომ, რომ სასამართლო ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ხელშია.

**— საქართველოდან არ წავიდა**

**მხოლოდ რამდენიმე მოსამართლე ასრულებს „ნაციონალების“ დავალებებს.**

– როგორ გეკადრებათ, რას ჰქვია, რამდენიმე? შეხედეთ ბაჩო ახალაიას საქმეს, ყველა საკითხში გაამართლეს და ლამისაა, გარეთ გამოაგდონ. სანამ პოლიტიკური სპექტრი არ გაიწმინდება, სანამ „ნაციონალებს“ ძალაუფლება არ ჩამოერთმევათ, ასე იქნება, პარლამენტში ამდენი დეპუტატი რომ უზით, ეს რამხელა ძალაა? ეგენი ხელისუფლებაში ვეღარასოდეს დაბრუნდებიან, მაგრამ საქმეს კი გააფუჭებენ. სხვათა შორის, ამ „ოცნებამაც“ დაკარგა ის ავტორიტეტი, რაც ჰქონდა. ახლა თბილისს მოიგებს „ოცნება“, მაგრამ რეგიონებში იქნება პრობლემები, ზოგიერთ რაიონს მოიგებენ „ნაციონალები“. მე როგორც ვხედავ, ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან ენერგიული კაცია, ეკონომიკაშიც ჩახედულია, არ არის უვიცი, მაგრამ ძალიან დიდ წინააღმდეგობებს ხვდება.

**— რა უნდა გააკეთოს?**

– რა უნდა გააკეთოს და როგორმე ეს არჩევნები ისე უნდა მოიგოს, რომ გაწმინდოს პოლიტიკური სპექტრი. ამდენი ძალაუფლება ყოფილ მმართველებს არ უნდა ჰქონდეთ. მას უნდა ჰყავდეს ერთიანი ეკონომიკური გუნდი, არ ჰყავს. ეკონომიკის მინისტრზე ვერაფერს ვიტყვი, ფინანსთა მინისტრს კიდევ არაუშავს, პროფესიონალია,



იდეს ხელისუფლებაში. თუმცა ვიმეორებ, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ისე გაიტეხეს სახელი, ხელისუფლებაში დაბრუნება გამორიცხულია. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააკეთოს პოლიტიკური ანალიზი, საპარლამენტო არჩევნებში თბილისის ათივე რაიონი მოიგეს, მაგრამ სამეგრელო და არაქართული რაიონები წააგეს. ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ იქ ისევ იქნება პრობლემები.

**— კი, მაგრამ არსებობს ჩანერგილებისა და „გადაცმული“ „ნაციონალების“ პრობლემაც.**

– „გადაცმული“ უკვე მიეყიდა „ოცნებას“ და საშიშროებას აღარ წარმოადგენს. ასეთ მოთამაშე ადამი-

წინასაარჩევნო შეკრება გამართა, მივიდა და პრემიერ-მინისტრს მიუჯდა გვერდით. ეგ არ უნდა გაეკეთებინა, ის არც ხელისუფლების წევრია და არც პარტიის, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელია. კი, ბატონო, დარბაზში შედი, დაჯექი და მოუსმინე, მთავრობის მეთაურის გვერდით რომ ჯდები, ამით ამბობ, ისევ მე ვარ ხელმძღვანელიო.

**— შიგა და შიგ კი არის უფროსი.**

– კი, მაგრამ მაინც არ უნდა მოიქცეს ასე, არ უნდა მისცეს სალაპარაკო „ნაციონალებს“.

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აფხაზეთის „სოციალური სოლიდარობის ფონდი“ შეიქმნა



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, 10 ივნისს „აფხაზეთის სოციალური სოლიდარობის ფონდის“ პრეზენტაცია გაიმართა.

ფონდის გამგეობის თანათავმჯდომარეები პარლამენტარი გოგი ქავთარაძე და პროფესორი ოთარ ბენიძე იქნებიან, დირექტორი კი ირაკლი თადუმაძე.

ფონდის საქმიანობის მთავარი მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური პირობების გაუმჯობესება, დევნილი მოზარდების ქვეყნის ფარგლებს გარეთ განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე, განსაკუთრებული ნიჭის მქონე დევნილი პირების შემოქმედების წარმოჩენის ხელშეწყობა. თავისი მიზნებიდან გამომდინარე, ფონდი იმოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

ყოველთვიურად, ნებაყოფლობით, ფონდში გადაირიცხება აფხაზეთის მინისტრებისა და მათი მოადგილეების ხელფასების 10-15%. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილის განცხადებები „ოცნების“ აქტივისტებისთვის მწვანე შუქია?



პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებებს ეხმაურება.

ჭიაბერაშვილის განცხადებით, ქვეყანაში წინასაარჩევნოდ არსებულ მძიმე ფონზე საუბრობდნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლები.

მისივე თქმით, ისინი მიუთითებენ, რომ ადგილზე მომხდარ ფიზიკურ ძალადობას ხელს უწყობს და ახალისებს „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ პრემიერ ღარიბაშვილის აგრესიული განცხადებები.

„პრაქტიკულად მისი განცხადებები ეს არის მწვანე შუქი „ქართული ოცნების“ აქტივისტების მიმართ, რომ ჩაიდინონ ის, რასაც სჩადიან. ამას თან ერთვის შს და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლების ზეწოლა კანდიდატებზე, რათა მათ კამპანია არ აწარმოონ ან უარეს შემთხვევაში, მოხსნან საკუთარი კანდიდატურა“, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

**— ბატონო თენგიზ, ერთი რა მაგის პასუხია და ეს თქვენი მეგობარი კიტოვანი რომ დადის აღმა-დაღმა და ვერ ვხვდებით, რა უნდა, იქნებ ამ საკითხშიც გაგვარკვიოთ?**

– მე როგორც გავიგე, მაგას მოუთხოვია ნაომარი ბიჭების დასაქმება შინაგან საქმეთა სამინისტროში. ეს არ არის ცუდი, ეს ბიჭები მიყრილები არიან უპატრონოდ. შენ კახეთიდან ხარ და ალბათ, იცი, ნარკოტიკების გატანა, ისე არა, როგორც ადრე, მაგრამ მაინც ხდება.

**— საიდან ხდება?**

– მოდის ძირითადად ავღანეთიდან და აზიიდან, კვეთს კასპიის ზღვას, შედის აზერბაიჯანში, მერე შემოდის საქართველოში და გადის ევროპაში.



**„მე როგორც ვხედავ, ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან ენერგიული კაცია, ეკონომიკაშიც ჩახედულია, არ არის უვიცი, მაგრამ ძალიან დიდ წინააღმდეგობებს ხვდება... როგორმე ეს არჩევნები ისე უნდა მოიგოს, რომ გაწმინდოს პოლიტიკური სპექტრი. ამდენი ძალაუფლება ყოფილ მმართველებს არ უნდა ჰქონდეთ“**

**— ეს ტრასა ამჟამად კიდევ არსებობს?**

– კი, არსებობს და ამის გადაკეტვა მოუთხოვია, შეიძლება მართალიც იყოს. მე თენგიზ კიტოვანთან არ მილაპარაკია, მაგრამ ისიც გავიგე, იარაღს ითხოვსო. აი, ამაში უკვე ცდება, კერძო სტრუქტურას სახელმწიფომ რატომ უნდა მისცეს იარაღი? ამას არავინ არ გააკეთებს, ეს დაუშვებელია.

**— მით უმეტეს, ჩვენ „მხედრიონის“ გამოცდილება გვაქვს.**

– რასაკვირველია... ჩააბან ეს ბიჭები ოფიციალურ სტრუქტურაში და საქმე აკეთებინონ, გამოიყენონ, ამას მივესალმები.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

# რა მიზნით შექმნა „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ „სასწავლო ცენტრი“?

## გიორგი ფხაკაძე: „სამედიცინო სფეროში გადამზადება და სწავლება უწყვეტი პროცესია და თუ ამ პროცესში მუდმივად ჩართული არ ხარ, შესაძლოა, პაციენტს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენო“

სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სამედიცინო პერსონალის კვალიფიციურობა რომ საქართველოში ყბადაღებული თემაა, ეს ნამდვილად არაა ახალი, თუმცა შესაძლებელია ნებისმიერი პრობლემის გამოსწორება, თუ, რა თქმა უნდა, ამის მზაობა არსებობს.

„სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ დასავლეთ საქართველოში პირველი პროფესიული სასწავლო და კვლევითი ცენტრი სწორედ იმ მიზნით შექმნა, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, რაც კმაყოფილი პაციენტების რაოდენობაზე გავლენას აუცილებლად მოახდენს. მით უმეტეს, რომ „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ საქართველოში ყველაზე მსხვილი ჰოსპიტალური ქსელია და პაციენტებს მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობს.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ კორპორაცია ქვეყნის მასშტაბით 36 კლინიკას მართავს, მათ შორისაა 10 რეფერალური, 2 სპეციალიზებული და 20 რაიონული ჰოსპიტალი, ასევე, 4 ამბულატორიული ცენტრი, რაც, საერთო ჯამში, საწოლფონდის რაოდენობას 1,889-მდე ზრდის.

**სამომავლო გეგმებსა და ცენტრის დანიშნულებაზე უფრო ვრცლად „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ გენერალური დირექტორის მოადგილე სტრატეგიისა და განვითარების დარგში, გიორგი ფხაკაძე საუბრობს:**

– მოცემულ მომენტში აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ **Joint Commission International**-თან **JCI,** რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საакრედიტაციო ორგანიზაციაა. ეს ორგანიზაცია მუშაობს ჰოსპიტალების აკრედიტაციაზე და თუ ჰოსპიტალს აქვს **JCI** სტანდარტი, ეს ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება არის საერთაშორისო დონის. პირველ ეტაპზე ამ მიმართულებით ვიწყებთ მუშაობას ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში – უახლოეს დღეებში გვეწვევიან ამერიკელი ექსპერტები და მათთან ერთად პირველ მოსამზადებელ ნაბიჯებს გადავდგამთ.

ზოგადად, „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ უმთავრესი მიზანი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მუშაობაა, რათა ჩვენმა პაციენტებმა უმაღლესი ხარისხის მომსახურება მიიღონ როგორც სერვისების კუთხით, ისე ადამიანური ურთიერთობების დონეზე.

**— აღნიშნული აკრედიტაცია თუ აქვს რომელიმე კლინიკას ჩვენს რეგიონში?**

– თურქეთში ეს პროცესი განვითარებულია, თუმცა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში **JCI** აკრედიტაცია არავის აქვს.

**— ბატონო გიორგი, ზემოთ ახსენეთ: „უმაღლესი ხარისხის მომსახურება როგორც სერვისების კუთხით, ისე ადამიანური ურთიერთობების დონეზე“... ამ მხრივ საქართველოში პრობლემები არსებობს — ბევრი პრეტენზიაა როგორც ექიმების, ისე სხვა მომსახურე პერსონალის მიმართ. რა გეგმები აქვს „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ ამ მიმართულებით?**

– როცა **JCI** სტანდარტებსა და **ISO** სერტიფიცირებაზე დავიწყეთ მუშაობა, დავინახეთ, რომ მნიშვნელოვანია თანამშრომლების გადამზადება. ზოგადად, სამედიცინო სფეროში გადამზადება და სწავლება უწყვეტი პროცესია. არ შეიძლება ჯანდაცვის სფეროში იყოს ამ პროცესის წყვეტა, რადგან მედიცინა ყოველდღიურად ვითარდება და ჩნდება უამრავი სიახლე. ამდენად, თუ არ ხარ ჩართული ამ პროცესში, სავსებით შესაძლებელია, პაციენტს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენო. გადავხედეთ მდგომარეობას და გავაკეთეთ ანალიზი – გამომდინარე იქიდან რომ 2004 წლიდან საქართველოში შეწყვეტილია უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესი, ქვეყანაში საკმაოდ რთული მდგომარეობაა. ჩვენ კი, თუ გვინდა, რომ წინ წავიდეთ, სტანდარტები ავწიოთ, განვითარებაზე მუდმივი ზრუნვის გარეშე ვერაფერს მივაღწევთ. შესაბამისად, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩამოგვეყალიბებინა სასწავლო-ცენტრი – დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქუთაისის სასწავლო ცენტრი“. კომპანიამ ინვესტიციის სახით პროექტში 1,6 მილიონი ლარი ჩადო. დღეისთვის უკვე მზადაა 750 კვ.მ ფართის სასწავლო ცენტრი, რომელიც მორგებულია სწორედ უწყვეტი სამედიცინო განათლების მიღებაზე.



**— სასწავლო ცენტრი უკვე მუშაობს?**

– დიახ, მისი კარი 2 თვის წინ გაიღო და დღემდე გადამზადება უკვე გაიარა ათასამდე ადამიანმა, მათ შორის არა მხოლოდ „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“, არამედ სხვა სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებმა. გარდა ამისა, ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ჯანდაცვის ადგილობრივ დეპარტამენტებთან, რათა ტრენინგები მათმა თანამშრომლებმაც ჩაატარონ. ზოგადად, ტრენინგებს უძღვებიან პროფესიონალი ტრენერები, რომლებმაც თავის მხრივ, გაიარეს „ტრენინგი ტრენერებისთვის“, ასევე, მოწვეული გვყავს უცხოელი ტრენერები. რაც მთავარია, ცენტრში შესაძლებელია არა მხოლოდ თეორიული კურსების გავლა, არამედ გამოყოფილია სიმულაციური ოთახები, სადაც ისეთი გარემოა, რომ რეალურ ჰოსპიტალს არაფრით ჩამოუვარდება.

**— ალბათ, ეს ტრენინგები უფასოა, არა?**

– ბუნებრივია, უფასოა. გარდა ამისა, ჩვენს თანამშრომლებს ვუნაზღაურებთ გზის ფულს, ასევე, არ ექვითებათ ხელფასი, როცა ისინი ცენტრში არიან. აქვე იმასაც დავამატებ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს, დაწესდეს ჩვენი ყველა თანამშრომლისთვის წელიწადში სავალდებულო საათები, რაც მათ ავალდებულებს, გაიარონ ტრენინგები. ანუ არ იქნება გადამზადება ერთჯერადი და როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი თანამშრომლები უწყვეტ სამედიცინო განათლებას მიიღებენ.

**— შესაძლოა, კითხვა ცოტა ბანალურად ჟღერდეს, თუმცა მაინც უნდა გვითხრათ: რას მისცემს ეს ყველაფერი თქვენს პაციენტებს?**

– ეს მოგვცემს იმ შედეგს, რომ ჩვენს პაციენტებს ექნებათ უფრო პროფესიონალური, უფრო მაღალკვალიფიციური და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურება. რაც მთავარია, ექნებათ სწორი მედიკამენტოზური მკურნალობა, არ იქნება ზედმეტი წამლები და პროცედურები და რაც მთავარია, პაციენტი უფრო დაცული იქნება. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ პაციენტი ჩვენგან კმაყოფილი და გამოჯანმრთელებული წავიდეს.

**გიორგი ბერია, „ქუთაისის სასწავლო და კვლევითი ცენტრის“ დირექტორი**

– აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ცენტრში ტრენინგები ჩატარდება ასევე არასამედიცინო პერსონალისთვისაც, როგორიც არის რეგისტრატურა, დაცვა და ასე შემდეგ, რათა სისტემა კომპლექსურად იყოს აწყობილი. სწორედ ამას ითხოვს **JCI** სტანდარტი, რომელიც დაგვეხმარება არა მარტო ქირურგიის, ან თერაპიისა თუ ექთნების, არამედ მთელი პროცესის დალაგებაში, დაწყებული კეთილგანწყობით, დამთავრებული პროფესიონალური სამედიცინო დახმარებით.

სხვათა შორის, ცნობილი ფაქტია, რომ არც ერთი ტრენინგი არ არის ეფექტური, არ იძლევა შედეგს, თუ ის ერთჯერადია. სწორედ ამიტომ ვირჩევთ უწყვეტ სამედიცინო განათლებას, ტრენინგების უწყვეტ კურსს, რომელიც ჩვენს პაციენტებს საუკეთესო შედეგებს მისცემს.

**— წამოწყება ჯერ კი ახალია, მაგრამ ხომ არ აპირებთ ტრენინგების ჩატარებას სტუდენტებისთვისაც?**

– ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი კომპანია იწყებს ახალ პროექტს, რომელსაც „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ საექთნო პროფესიული სასწავლო კურსი“ ჰქვია და რომელიც 6-თვიანი მოსამზადებელი პროგრამის გავლას გულისხმობს. ამ პროგრამაზე მუშაობაც მოხდება კორპორაციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე. ასევე, გამოიყენებს ქუთაისის ინტერვენციული ჰოსპიტალის ბაზას, სადაც სწავლება ინტენსიურად წარიმართება. პროგრამა 6-თვიანია და გათვლილია მათზე, ვინც უკვე მუშაობს ან აქვს ექთნად მუშაობის უფლება. სწავლება თვეში 150 ლარი ღირება და ის, ვინც გამოცდას წარჩინებით ჩააბარებს, ჩვენს კომპანიაში 21-წლიან გარანტირებულ კონტრაქტს მიიღებს... გარდა ამისა, აქტიურად დავიწყეთ მუშაობა ქუთაისის სამედიცინო სკოლასთან, რომელსაც საკმაოდ საინტერესო საექთნო პროგრამა აქვს. ამ სკოლასთან ერთად შევიმუშავეთ კურიკულუმი და ის, ვინც საექთნო საქმეზე ჩააბარებს, შემდეგ ჩააბარებს სახელმწიფო გამოცდას, პარალელურად კი „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ სასწავლო პროგრამას, ასევე მიიღებს გარანტირებულ 2-წლიან კონტრაქტს. მოკლედ, ვფიქრობთ იმ სპეციალისტების გადამზადებაზეც, რომლებიც ჩვენი ქსელის გარეთ არიან და ვუღებთ კარს ახალგაზრდა თაობას. მიზანი კი „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ ძალიან მნიშვნელოვანი აქვს: უფრო პროფესიონალური, უფრო მაღალკვალიფიციური და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურება.

*მიხეილ სახვაძე*

**„ალიას“ ესაუბრება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია:**

**— ქალბატონო ეკა, ცაგერში „ნაციონალებს“ კვერცხები ესროლეს, ზუგდიდსა და ბათუმში ფიზიკურად დაუპირისპირდნენ... ალბათ, მეტის ღირსებიც არიან, მაგრამ ამას სათავისოდ იყენებენ, დასავლეთში საჩივრებს აგზავნიან. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მკაცრი განცხადება გააკეთა, ძალადობა აღკვეთეთო. რატომ აძლევს ხელისუფლება სალაპარაკოს ოპონენტებს?**

– საარჩევნო კამპანია და არჩევნები პოლიტიკურ ტემპერატურას ყოველთვის მაღლა წევს და ბუნებრივია, მატულობს დაძაბულობა მონაწილე სუბიექტებსა და ზოგადად საზოგადოებაშიც. განსაკუთრებით მძაფრია ადგილობრივი არჩევნები, რადგან ეს სპეციფიკურია, ძალიან ბევრი ადამიანის ვოკაციები, რადგან ეს მათი სტრატეგიაა. ვის აწყობს დღეს კვერცხის სროლა ან თავგატეხილი რომელიმე „ნაციონალი“? არა ხელისუფლებას, არამედ „ნაცებს“ თავად. ამდენი ზრუნვა, რასაც იჩენს პოლიცია ნაციონალების დასაცავად, გახსოვთ როდესმე? განა არ იცის ბოკერიამ, ან თარგამაძემ, ან უგულავამ, რომ ღია და საჯარო შეხვედრების დროს აუცილებლად შეხვდებათ ვიღაც, ვინც გამწარებული და გაუბედურებული ჰყავთ ამ წლების მანძილზე? იციან, რომ ასეთები ბევრნი არიან, ისიც იციან, რომ პასუხს მოსთხოვს ზოგი მათგანი და ეს მათ ახლა აწყობთ, რათა აჩვენონ დასავლეთს, რომ მათ ხელისუფლება დევნის. მე არ მინდა ვუყურო ამ ძალადობას, მეყოფა. საქმეების განხილვა სამართლებრივ ჭრილში უნდა მოხდეს და არა ქუჩაში და იმედია, სამართალდამცავები გაუმკლავდებიან ამდენ



**— ახალი არაა, რომ პოლიტპატიმრები უკმაყოფილონი არიან, თქვენ გვერდით იბრძოდნენ „ნაციონალური“ რეჟიმის წინააღმდეგ და მათი არც საქმეების გადახედვა ხდება, არც რეაბილიტაცია.**

– პოლიტპატიმრებზე ყველაზე მეტი ვიბრძოლე, რათა ისინი მალე განთავისუფლებულიყვნენ, დღემდე არ წყდება „ნაცების“ შემოტევა ამის გამო. მათი აღიარება პოლიტიკურ პატიმრებად იყო ყველაზე დიდი დარტყმა, რაც უნდა გაგრძელდეს სასამართლოში მათი საქმეების გადახედვით. მათ გარდა კიდევ ბევრი იყო პოლიტიკური მასშტაბით დაკავებული. მაგალითად, ნორა კვიციანი არ იყო პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული? არც ჩემი ოჯახის წევრები იყვნენ იმ სიაში, მაგრამ სრულიად გამოხატული პოლიტიკური საქმე იყო. ჩვენ ერთთვიანი მანდატი გვქონდა და 1 თვეში ვისი

# პარლამენტი სასამართლოს უკანონო განაჩენების შესწავლასა და სასამართლო სისტემის შეცვლას აპირებს

არჩევა ხდება და პერსონალური განწყობილებებიც მძლავრია. ამით იმის თქმა მინდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე მეტად ემოციური იქნება ადგილობრივი არჩევნები.

ხომ გახსოვთ, როგორი ტერორის ქვეშ ვატარებდით არჩევნებს. სათითაოდ აფრთხილებდნენ ადამიანებს, რომ ჩვენთან შეხვედრებზე არ გამოსულიყვნენ, ატერორებდნენ ყველას, ოფისებს ვერ ვქირაობდით, ყველაფერს ყადაღა ედო. დღეს მოძალადეები „ნაციონალური მოძრაობიდან“ ცდილობენ, შექმნან პროგამოძიებას, რაც წარსულს ეხება. სულაც არ ვართ უსუსურები, ვცდილობთ ყველაფერს.

**— სამართლიანობა რომ არ აღდგა, სწორედ ამიტომ ხდება ანგარიშსწორებები. საერთოდ, რამეს აპირებს ხელისუფლება სამართლიანობის აღსადგენად? პრემიერი ამბობს, ყველა დამნაშავე დაისჯებაო, ამ დროს კი, ეს დამნაშავეები მორალს გვიკითხავენ და გამაღიზიანებელ განცხადებებს აკეთებენ...**

– ჩვენ რას ვაკეთებთ? მაქსიმალურად ყველაფერს, რომ ქუჩაში დაპირისპირება ავიცილოთ თავიდან, მაგრამ ტოტალური კონტროლი ადამიანების ემოციების შეუძლებელია. ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ სადისტურად მოკლული ქარდავას ან ცინდელიანის ოჯახის წევრების ემოციებს გააკონტროლებს? რამდენი წელია, ოჯახს ატყუებენ და დღეს იხსნება საქმე, რომ ძალოვნები, „ნაციონალური მოძრაობის“ დასაყრდენი ძალა კლავდა უდანაშაულო ადამიანებს და იშორებდა თავიდან.

**— გაქვთ საუბარი გუნდის შიგნით, როგორ და რა ფორმით უნდა აღადგინოთ სამართლიანობა?**

– ძალიან ბევრს ვმუშაობთ ამ კუთხით, ვმუშაობთ სამართლებრივ მექანიზმებზე და ვფიქრობთ, როგორ დავეხმაროთ ამ ადამიანებს. მე მესმის მათი და სულ ვამბობ, რომ მე თავად გავიარე ეს ჯოჯოხეთი, ჩემი 15 წლის შვილი, უდანაშაულო ძმა ჰყავდათ მძევლად. ასეთი ფაქტი უამრავია და ამ ფაქტების გამოძიებაა საჭირო. თორემ ხედავთ, მოსამართლეები ახლა გამამართლებელ განაჩენებს ადგნენ წამებისა და ძალადობის საქმეებზე, მაშინ, როცა ფარატინა ფურცლებზე გამოჰქონდა ბევრს განაჩენი.

საქმეებიც შემოვიდა პატიმრობაში მყოფი პირებისა და ძებნილების, ის განვიხილეთ. ვინც განსაკუთრებული იყო, მათ საქმეებს კომისია ვერ სწავლობდა, რეალურად, 215-ზე მეტი პოლიტიკური საქმე იყო, მაგრამ პარლამენტმა 1 თვეში ეს შეძლო. შემდეგ კი სასამართლოს უნდა განეხილა მათი საქმეები. ეს არ ხდება და ამიტომაც უნდა შევქმნათ მექანიზმი, რომლითაც სასამართლოს უკანონო და პოლიტიკური განაჩენების შესწავლა უნდა მოხდეს. ჩვენ ვმუშაობთ

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზაზა ხატიაშვილი მედეა ვასაძის დასჯას ითხოვს



„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ჟურნალისტ ჯაბა ანანიძის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტს გმბობს:

„საქართველოში გახშირდა ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. ჟურნალისტთა დაშანტაჟების ფაქტებს საქართველოში კამპანიური ხასიათი ჰქონდა წინა ხელისუფლების დროს და გრძელდება ახლაც. ამჯერად გამოვყოფ ბათუმში „ტელეარხ 25“-ის ჟურნალისტის, ჯაბა ანანიძის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტს. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, როცა ეს ხორციელდება უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ საჯაროდ და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ქალბატონი აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა, ცოტა გასაკვირია, ეს ქალბატონი კარგად უნდა ერკვეოდეს ადამიანის უფლებებში, გაეროს რეზოლუციებში, კონვენციებში. ბოლოს და ბოლოს საქართველოს კონსტიტუცია უნდა ჰქონდეს წაკითხული. ასევე, მან კარგად უნდა იცოდეს თმენის ვალდებულების შესახებ. დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია გამეფებული, მიგვიყვანს სრულ ანარქიამდე. დღევანდელმა ხელისუფლებამ დროულად უნდა აღკვეთოს ეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოუწევს, პასუხი აგოს არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე. საზოგადოება, სადაც ილახება ადამიანის უფლებები, ვერ განვითარდება და ვერ გახდება დემოკრატიული სამყაროს ნაწილი.

იმ თანამდებობის პირების გასაგონად, ვისაც არ აქვს გაცნობიერებული დამოუკიდებელი ჟურნალისტის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, განვმარტავ:

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გადაწყვეტილებაში „სანდი ტაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, მიუთითა: „პრესის მოვალეობაა, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხებზე. ამასთანავე, მხოლოდ პრესას კი არა აქვს ამოცანა, გადასცეს ინფორმაცია და იდეები, არამედ საზოგადოებასაც აქვს უფლება, მიიღოს ის. სხვაგვარად პრესა ვერ შეძლებდა, შეესრულებინა „საზოგადოების მოდარაჯე ნაგაზის“ ძირითადი როლი“.

მე, როგორც „ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე“, მოვითხოვ გადადგეს მედეა ვასაძე და დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი და მოვუწოდებ აჭარის უმაღლეს საბჭოს, მოახდინოს სწრაფი რეაგირება დეპუტატის სამარცხვინო ქმედებასთან დაკავშირებით, რადგან ამ ქალბატონის მიერ ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება, როგორც თავისუფალ მედიაზე ზეწოლისა და მუქარის ფაქტი. ამასთანავე, მოვუწოდებ სამართალდამცავ ორგანოებს, შეისწავლონ არსებული დანაშაულის ჩადენის გარემოებები და დაიწყონ გამოძიება.

თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოს თუ ვაშენებთ, მაშინ მოგვიწევს, პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს, დავიცვათ ისინი და ვისწავლოთ ცივილიზებული მეთოდებით ადამიანებთან ურთიერთობა. კატეგორიულად მიუღებელია მედიაზე ზეწოლა და მუქარა კონკრეტული ფილმისა თუ სიუჟეტის გამო“, – ნათქვამია ხატიაშვილის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საქართველოს მოქალაქემ თვითმფრინავის გატაცება სცადა



ბელორუსის ეროვნული უშიშროების პრესსამსახურის უფროსი არტურ სტრეხი, საქართველოს მოქალაქის მხრიდან თვითმფრინავის გატაცების მცდელობასთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს.

„პირველი ჩანაწერი ხომალდის მეთაურმა მაშინ მიიღო, როდესაც თვითმფრინავი დანიშნულების წერტილიდან 200 კილომეტრში იმყოფებოდა, თვითმფრინავში 32 მგზავრი, მათ შორის ერთი ბავშვი და ეკიპაჟის 4 წევრი იმყოფებოდა“, – განაცხადა სტრეხმა.

როგორც მინსკის აეროპორტში აცხადებენ, 41 წლის ქართველი მამაკაცი, რომელმაც თვითმფრინავის გატაცება სცადა, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, თუმცა აღნიშნულს არ ადასტურებენ ავიაკომპანია „ბელავიაში“.

საქართველოს მოქალაქემ ქუთაისი-მინსკის რეისის თვითმფრინავის გატაცება 10 ივნისს სცადა. გამტაცებელმა თვითმფრინავის პილოტს მუქარის წერილი გაუგზავნა, რომლითაც ის თვითმფრინავის ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში დაშვებას მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი თვითმფრინავის აფეთქებით იმუქრებოდა.

თვითმფრინავი მინსკის აეროპორტში მაინც დაეშვა, მოლაპარაკებების შედეგად კი მამაკაცი სამართალდამცავებს ჩაჰბარდა. (ნიუპოსტი)



## ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ეუთო-მ „ღორი შემოგვტენათო“...

საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში ეუთო-ს მიერ დანიშნული სპეციალური წარმომადგენელი ჰაიდი ტალიავინი გააკრიტიკა. ყოფილმა პრეზიდენტმა ამის შესახებ უკრაინულ ტელეარხ „TCH“-ს ეთერში სტუმრობისას განაცხადა.

„ძალიან გამიკვირდა და შევშფოთდი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ეუთო-მ უკრაინაში თავის წარმომადგენლად ქალბატონი ტალიავინი დანიშნა. ამჯერად თქვენ „შემოგტენეს“ ტალიავინი, რომელსაც თავის დროზე სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში იყენებდნენ.

შემდეგ მან თქვა, რომ: ფაქტები ემთხვევა, თუმცა არ არის საჭირო რუსეთის მიმართ რაიმე განსაკუთრებული სანქციების შემოღება, რადგან ორივე მხარე დამნაშავეა“. ანუ, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ეუთო-მ „ღორი შემოგტენათ“, რომელიც ცნობილია იმით, რომ ყველაფერს აკეთებს, რათა რუსეთი წყლიდან მშრალი გამოძვრეს“, – განაცხადა სააკაშვილმა. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

ამ საკითხებზე, იგივე უზენაესი სასამართლოს ახალი მოსამართლეები რომ დაემატოს და გაფართოვდეს დასაშვებობის კრიტერიუმები, ან საკონსტიტუციო სასამართლომ აიღოს ეს ფუნქცია. ეს მოსაზრებაა ჯერ, ვმუშაობთ ამაზე.

**— რომელი სასამართლოს იმედად ხართ, ისევ „ნაციონალები“ რომ აკონტროლებენ და ამდენი უკანონო გადაწყვეტილება რომ გამოაქვს?**

– სასამართლო სისტემა უნდა შეიცვალოს, მოსამართლეების მიმართ მიუკერძოებლობის ნდობა უნდა იყოს და იგივე მოსამართლეებმა არ უნდა განიხილონ ეს საქმეები. ამნისტიის აქტი რომ მივიღეთ და ამდენი ათასი ადამიანი გამოვტაცეთ ჯოჯოხეთურ ციხეს, ეს ხომ იყო უდიდესი ნახტომი? ამის გარეშე ამდენი ათასი ადამიანის საქმეს ვინ გადახედავდა? ეს ნაბიჯები ჩვენ დასაწყისშივე გადავდგით, რომ სამართლის აღსრულება დაგვეწყო და ნუ გავაუფასურებთ ამ ნაბიჯებს. სამართლის აღსრულება არაა ერთჯერადი აქტი მხოლოდ, ეს პროცესია და თანაც ხანგრძლივი. ჰკითხეთ მოკლული ქობალიას ოჯახს, ან ნავთლუღის ბაზართან უდანაშაულო ბიჭები რომ დახოცეს, იმათ ოჯახებს, როგორ აღუდგებათ სამართალი? ვინ გააცოცხლებს იმ ადამიანებს? შემზარავია, რაც „ნაციონალებმა“ ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ ჩაიდინეს.

**— იმის გამო, რომ დამნაშავეებს ხელს არ კიდებთ, ხალხი თავად იწყებს ანგარიშსწორებას. შეაგინებენ, სცემენ ამ „ნაციონალებს“, მერე ისევ ამათ აკავებენ და ისჯებიან. ამაზე რა პოზიცია გაქვთ?**

– დიახ, ვიცით... ვიღებთ ზომებს და რომ არა ხელისუფლების ძალისხმევა, ისეთები აქვთ ჩადენილი, ვერ გაივლიდნენ ქუჩაში. ეს უსუსურობა არაა, თუ ხელისუფლება დაიწყებს ანგარიშსწორებას, გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, მათ დაემსგავსება და ეს სახიფათოა. ხელისუფლების ვალდებულებაა, დამნაშავეების გასამართლება და არა მათი ლინჩის წესით ჩაქოლვა. ბევრი რამ ერთად დაგროვდა, ამდენი გაუბედურებული ადამიანი მისახედია. კომიტეტში შემოსულ საქმეებს, ისტორიებს რომ ვკითხულობ, მზარავს, ხელახლა განვიცდი ყველაფერს. ჩვენმა კომიტეტმა მიიღო 18 000-ზე მეტი განცხადება და საოცრება ხდება ამ საჩივრებს რომ ვკითხულობ. ჩვენ დასკვნა მოვამზადეთ და შეფასება მივეცით „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობას ბოლო 9 წელში, ასობით საქმის გამოძიება ერთდროულად მიმდინარეობს. ძალიან ბევრი საქმე სასამართლოშია, სადაც არავინ იცის, „ნაციონალების“ მიერ დაკომპლექტებული სასამართლო სისტემის წარმომადგენლები როდის რას ჩათვლიან სამართლიანად. მე არ მაქვს ნდობა ამ სასამართლო უწყების და მისი შეცვლის აუცილებლობას ვხედავ. მათ პოლიტიკური ელფერი გამოჰყოფდათ და ასეთადაც დარჩნენ დღემდე. აუცილებელია ამ სისტემის შეცვლა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონიერად და არა უკანონოდ.

**„საზოგადოებაში დიდი აგრესიაა და ყველა ასეთ გამოვლინებას „ნაცები“ იყენებენ, ამბობენ, რომ მსხვერპლნი არიან. საზოგადოებას ხელოვნურად ძაბავენ და აღიზიანებენ, ისე იქცევიან და მერე ითხოვენ დაცვით გარანტიებს, ეს დაცვა კი პოლიციაა, რომელიც მათ დროს დასჯის პოლიტიკური ინსტრუმენტი იყო“.**

საზოგადოებაში დიდი აგრესიაა და ყველა ასეთ გამოვლინებას „ნაცები“ იყენებენ, ამბობენ, რომ მსხვერპლნი არიან. საზოგადოებას ხელოვნურად ძაბავენ და აღიზიანებენ, ისე იქცევიან და მერე ითხოვენ დაცვით გარანტიებს, ეს დაცვა კი პოლიციაა, რომელიც მათ დროს დასჯის პოლიტიკური ინსტრუმენტი იყო, დღეს კი დეპოლიტიზებული სისტემაა. იქნება ბევრი უკმაყოფილება და ეს მესმის, უამრავი ადამიანი ელოდება მისი საქმის განხილვას. უამრავი ბიზნესჩამორთმეული ადამიანია. ყველაზე მძიმეა, ვინც აწამეს და გამოატარეს ჯოჯოხეთი. 300 000 ადამიანია გასამართლებული და ამის გამოძიებას წარმოუდგენლად ბევრი დრო სჭირდება, მაგრამ პროცესი დაიწყო ასეულობით საქმეზე. მინდა, ადამიანებმა იგრძნონ, რომ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ხელისუფლება ამ სირთულეებს გაუმკლავდეს.

**— სასულიერო პირები ამბობენ, რომ უკან არ დაიხევენ და ანტიდისკრიმინაციული კანონის უკან გასაწვევად ყველაფერს გააკეთებენ. ბოლო დროს გქონიათ მათთან საუბარი?**



**„უნდა შევქმნათ მექანიზმი, რომლითაც სასამართლოს უკანონო და პოლიტიკური განაჩენების შესწავლა უნდა მოხდეს... სასამართლო სისტემა უნდა შეიცვალოს, მოსამართლეების მიმართ მიუკერძოებლობის ნდობა უნდა იყოს და იგივე მოსამართლეებმა არ უნდა განიხილონ ეს საქმეები“**

– მე მაქვს ხშირად შეხვედრა და საუბარი ეკლესიის წარმომადგენლებთან, პატრიარქთან, ვესაუბრები სინოდის წევრებს. როგორც მრევლს, არასდროს მექნება დაპირისპირება ეკლესიასთან. ეკლესიას აქვს თავისი კანონები და სახელმწიფოს – თავისი. კონკორდატში წერია, რომ არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში. კანონი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ მას შემდეგ, რაც ცვლილებები შევიტანეთ, არის არა სახიფათო, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებისა და მართლმადიდებელი რწმენის ერთ-ერთი მთავარი ფილოსოფიის მატარებელი. ადამიანი არ უნდა დაჩაგრო და არ იძალადო მასზე. ცოტა ხნის წინ მეუფე ზენონი მეუბნებოდა, ყველაზე მართლმადიდებლური კანონიაო. ჩვენი რელიგია ამბობს, არ განიკითხო და არ განიკითხები. ადამიანის ქცევისა და ცოდვის შეფასებას უფალი ახდენს და სახელმწიფოს არ აქვს უფლება, თქვას, რომ რაღაც ჯგუფს დაიცავს და რაღაც ჯგუფს – არა. მომიტევოს ყველამ, ვინც სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ ხშირად მესმის კამათი ამ თემაზე. მე მაზიარებელი მართლმადიდებელი ვარ და ამავე დროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელიც. არ მაქვს უფლება, ვთქვა, რომ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს არ აქვს უფლება, იარსებოს. მე ვალდებული ვარ, ადამიანი დავიცვა და არ დავიწყო მათი დახარისხება, ვინ მოსაწონია და ვინ – არა. ადამიანია მთავარი საზრუნავი, ეს ხელისუფლების ვალდებულებაა.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16


**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2014/05**

**ფასთა ღია გამოკითხვას საპოხი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 25 ივნისი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 2“ აცხადებს №X2-2014/06**

**ფასთა ღია გამოკითხვას სპეც. ტანსაცმლისა და სპეც. ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით:**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 25 ივნისი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2014/04**

**ფასთა ღია გამოკითხვას სპეც. ტანსაცმლისა და სპეც. ინვენტარის შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 25 ივნისი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-201405**

**ფასთა ღია გამოკითხვას საპოხი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 25 ივნისი 15 საათი.*

# რა ინფორმაციებს ემსხვერპლნენ პაატა ქარდავა და დავით ცინდელიანი?

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაზვერვის ოფიცერ პაატა ქარდავას შემდეგ, 2008 წელს გაუჩინარებული რეინჯერის, დავით ცინდელიანის საქმეც გახსნილად გამოაცხადა. კვალი ამ შემთხვევაშიც აფხაზეთის კუდ-ის ყოფილ უფროს რომან შამათავასთან მიდის. რა გახდა მკვლელობების მოტივი და რა ინფორმაციებს ემსხვერპლნენ ცინდელიანი და ქარდავა?**

**„ალიას“ ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ვახტანგ მაისაია ესაუბრება:**

– აშკარად ჩანს, რომ სააკაშვილი აწარმოებდა სახელმწიფო ტერორს, იყო ამუშავებული სპეციალური პროგრამა, თითქოსდა, ტერორიზმის წინააღმდეგ სინამდვილეში ეს ჯგუფი იყო სიკვდილის ესკადრონები. ფაქტობრივად, მიდიოდა ნადირობა ქართული სპეცსამსახურების იმ ოფიცრებზე, რომლებიც ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებას, სამხედრო და საგარეო დაზვერვის ოფიცრებზე მაქვს საუბარი. ცინდელიანის შემთხვევა შეიძლება იყოს გამონაკლისი, მაგრამ ჩვენ ვიცით გახმაურებული და კიდევ უფრო მეტი გაუხმაურებელი ფაქტები, როგორ უსწორდებოდნენ ისინი დაზვერვის თანამშრომლებს. ასეთი ტიპის ოპერაციები ხორციელდება იმ ქვეყნის სპეცსამსახურების დაკვეთით, რომლის წინააღმდეგაც ეს ადამიანები იბრძოდნენ. ქარდავასა და ცინდელიანის საქმეც სწორედ ამ ფაქტს მაგონებს.

**— როდესაც ღარიბაშვილმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ შსს-ს ძიების წინასწარი შედეგების მიხედვით საკმაოდ მძიმე სურათები იკვეთებოდა დაკარგულ ადამიანებთან მიმართებაში, მაშინ მე ვესაუბრე პაატა ქარდავას ქალიშვილს, რომელსაც ეჭვი ჰქონდა, რომ მამამისის გაუჩინარება უკავშირდებოდა მის ინფორმირებულობას. მითხრა, რომ მამამისმა აგვისტოს ომის დროს ნახა ის, რაც არ უნდა ენახა. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რა შეიძლება იყოს ასეთი ანგარიშსწორების მოტივი?**

– ბუნებრივია, რომ ისინი ფლობდნენ ინფორმაციას, რა ხდებოდა, რა სტრატეგია მუშავდებოდა აგვისტოს ომის დროს, დაზვერვის თანამშრომელმა, რა თქმა უნდა, იცის ყველა დეტალი, რასაც ხელმძღვანელობა შეიმუშავებს ომთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მისთვის ცნობილი იყო, როგორ მოხდა კოდორის ხეობის ჩაბარება, იგივე სენაკის ბაზის უცნაური დაკავება და იქ არსებული საიდუმლო დოკუმენტაციის დატოვება, აღჭურვილობისა და ტექნიკის ხელში ჩაგდება. ეს არის უმძიმესი სახელმწიფო დანაშაული, რომელიც შეგნებულად იყო გაკეთებული. გვახსოვს ჩვენ ოთხი „ჰამერის“ საქმეც, რომელიც სპეციალურად გააჩერეს და არ გაგზავნეს ამერიკაში და რატომღაც ომის პერიოდს დაემთხვა ასეთი ქმედება. ამას ემატება ომის პერიოდში ძალიან საეჭვოდ დადებული თავდაცვის კონტრაქტი, რომელსაც ხელს აწერდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბატონი მუჯირი, რომელიც ეხებოდა ვიქტორ ბუტის (იარაღით უკანონო ვაჭრობაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული) კომპანიონთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობდა ქართული მხარის მხრიდან იარაღის შეძენას.





„გამოვყოფ მეგის ქარდავას, იმიტომ, რომ ის მსგავს საქმეებში, რასაც სიკვდილის ესკადრონები ახორციელებდნენ, ყოველთვის ფიგურირებდა. ასეთ შავ საქმეებს სწორედ მეგის ქარდავა კურირებდა“

იარაღი უნდა წამოსულიყო იორდანიიდან, მაგრამ ეს იარაღი მოგვიანებით დაიკარგა.

მე გიყვებით ახლა რამდენიმე ფაქტს, რაც შემდეგ გახმაურდა. ბუნებრივია, პაატა ქარდავამ ეს მაშინვე იცოდა. არ დაგავიწყდეთ სერგო თეთრაძის მკვლელობაც, რომელიც იყო საგარეო დაზვერვის ოფიცერი, ის გაიტაცეს და სადისტურად მოკლეს.

**— სხვათა შორის, სერგო თეთრაძეც აჭარის ტერიტორიაზეა მოკლული, ისევე, როგორც ცინდელიანი და პაატა ქარდავა.**

– დიახ, რა თქმა უნდა, ძალიან მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ ეს ტერიტორიული დამთხვევა იყოს, შემთხვევითი დამთხვევა არ ხდება. მე შემიძლია გითხრათ ადამიანები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებდნენ ამ ოპერაციებს, მათ შორის გამოვყოფ მეგის ქარდავას, იმიტომ, რომ ის მსგავს საქმეებში, რასაც

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „წინასაარჩევნოდ სახელმწიფო არის მოძალადე“



„ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიგი უგულავა ხელისუფლების მხრიდან ძალადობაზე საუბრობს.

„ჩვენ ვხედავთ, რომ წინასაარჩევნო ფონი ძალიან დამძიმდა. ვხედავთ ძალადობას, ვხედავთ იმას, რომ ყოველ საღამოს გამოდის ვინმე გეგეჭკორი და საუბრობს იმაზე, რომ ემიჯნებიან ძალადობას, შემდეგ ამას, როგორც წესი, იმეორებს კახა კალაძე და დროგამოშვებით ამას ღარიბაშვილიც იმეორებს ხოლმე. მაგრამ ფაქტი უტყუარია, მონაწილე ამ ძალადობაში არის არა ის, ვინც უნდათ, რომ გაასაღონ, გამწარებული ხალხი, არამედ მონაწილე, ბათუმის შემთხვევაში არის ერმაკოვის შტაბი და მასში მომუშავე ხალხი, ცაგერის შემთხვევაში „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის შემადგენელი ნაწილი. 8 ქალაქში ერთდროულად ორკესტრირებულად ხდება თავდასხმა. ანუ ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ სახელმწიფო არის მოძალადე და ყველანაირი ძალადობის მაპროვოცირებელი წინასაარჩევნოდ და ეს ძალადობა ერთადერთი მიმართულია „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ“, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

მისივე თქმით, ეს გასაგებიცაა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ არის რეალური ოპოზიცია და რეალური ალტერნატივა, რომელიც დაამარცხებს თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულ ოცნებას“.

გიგი უგულავა ასევე მარნეულში აჰმედ იმამყულიევის კანდიდატურის აღდგენის ფაქტსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ არნახული დანაშაული და მარაზმი იქნებოდა, რომ არჩევნებამდე 5 დღით ადრე ის სუს-ის მიერ დაქვემდებარებული „ენჯეოს“ ადვოკატის განცხადების საფუძველზე კანდიდატი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის გარეშე დარჩენილიყო. უგულავას განცხადებით, მარნეულში იმამყულიევს გამარჯვების რეალური შანსი აქვს. მისივე თქმით, ქვეყანაში უნდა ჩატარდეს თავისუფალი არჩევნები და უნდა იყოს ისეთი გარემო, რომ გამარჯვების შემთხვევაში ერთმა კანდიდატმა მეორეს მიულოცოს გამარჯვება. „მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აშენდება ქვეყანაში ინსტიტუციები“, – აღნიშნა გიგი უგულავამ. (ნიუპოსტი)

## კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა ბერ-მონაზვნებს



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბერ-მონაზვნებს სასაზღვრო რაიონებში მონასტრების შექმნის თხოვნით მიმართავს. ბარისახოში, „საუკუნის გზის“ პროექტის პრეზენტაციის შემდეგ, უწმინდესმა მოუწოდა ბიზნესმენებს, გაუწიონ მატერიალური დახმარება მაღალმთიან რეგიონს.

„მინდა მივმართო ბერმონაზვნობას, რომ სასაზღვრო რაიონებში უნდა შეიქმნას მონასტრები, რომ ჩვენ გავაძლიეროთ და დავიცვათ ჩვენი საზღვრები. მინდა ასევე მივმართო ბიზნესმენებს. ყოველმა ბიზნესმენმა უნდა აიღოს თავის თავზე, რომელიმე რაიონი, ეს მთა იქნება თუ ბარი და დაეხმაროს მატერიალურ განვითარებას ამ რეგიონის. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ბიზნესმენები ყველა შეისმენს ამ ჩვენ მოწოდებას და საქართველო იქნება ბედნიერი“, – განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## შარშანდელთან შედარებით პოლიტიკური ძალადობა გამწვავდა?

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის შეფასებით, გასულ წელს ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით, საქართველოში პოლიტიკური ძალადობა გამწვავდა.

„ენ-დი-აი“-სა და ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ გასული წლის არჩევნებთან შედარებით, პოლიტიკური ძალადობა გამწვავდა, მათ შორის არის სისხლიანი ინციდენტებიც.

27 მაისს თბილისის ერთ-ერთ კაფეში ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრ ზურაბ ჭიაბერაშვილს დაესხნენ თავს. ჭიაბერაშვილი, აგრეთვე, უწყებათაშორის კომისიაში ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელია. საია-მ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც ყველა მხარეს ძალადობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს, ხოლო მთავრობას – აღნიშნული ინციდენტის სწრაფი და ობიექტური გამოძიებისკენ. აღნიშნულმა საქმემ განაახლა დისკუსია პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის შემთხვევებზე ქმედითი რეაგირების აუცილებლობაზე. მარტის ბოლოს პარლამენტის წევრი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ნუგზარ წიკლაური რამდენიმე პირმა სცემა და მისივე განცხადებით, მისი გატაცებაც სცადეს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველმა შესაბამის ორგანოებს ინციდენტის სრულყოფილი გამოძიებისკენ მოუწოდეს.

მაისის დასაწყისში ბიზნესმენი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ძმა, დავით კოდუა სასტიკად სცემეს, რასაც პროკურატურამ „შურისძიების ნიადაგზე წინასწარი განზრახვით ჩადენილი ჯგუფური თავდასხმა“ უწოდა“.

მიუხედავად იმისა, რომ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ძალადობასა და ზეწოლებთან დაკავშირებით მკაცრი პოზიცია დაიკავა და უწყებათაშორისმა კომისიამ დადებითი შეფასება მიიღო, როგორც ფორუმმა, სადაც საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება, მმართველი პარტიის სხვა წევრების საჯარო განცხადებები უფრო ორაზროვანი იყო.

მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს ლიდერების მხრიდან აღნიშნული ფაქტების უფრო მკაცრად დაგმობა საარჩევნო კამპანიის პერიოდში და მის შემდგომ ძალადობის და ზეწოლის მიმართ შეუწყნარებლობის სიგნალს გაგზავნის. შემდგომში ძალადობის პრევენციის მიზნით უნდა ჩატარდეს სრულყოფილი და სწრაფი გამოძიება და დამნაშავე პირები უნდა დაისაჯონ“, – ნათქვამია „ენ-დი-აი“-ს ანგარიშში. (ნიუპოსტი)

## შს მინისტრი ცესკო-ს თავმჯდომარეს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ადგილობრივი თვითმმართველობის მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას შეხვდა. საუბარი შეეხო ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო გარემოს.

მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა პოლიციის მზადყოფნა, უზრუნველყოს არჩევნების მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარება, აღმოფხვრას ყოველგვარი ექსცესი არჩევნების მიმდინარეობისას და ამ მიმართულებით ჩატარებულ პრევენციულ ღონისძიებებზე ისაუბრა. (ნიუპოსტი)

BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*



სიკვდილის ესკადრონები ახორციელებდნენ, ყოველთვის ფიგურირებდა. ასეთ შავ საქმეებს სწორედ მეგის ქარდავა კურირებდა და ასევე გამოვყოფდი ამირან მესხელს, რომელიც დღეს არავინ იცის, სად არის. მეგის ქარდავა და ამირან მესხელი იყვნენ ამ შავი საქმეების შემსრულებლები.

**— შსს-მ ცინდელიანისა და ქარდავას მკვლელობა გახსნილად გამოაცხადა, თუმცა ცნობილი არ არის მკვლელობის მოტივი. გაქვთ თქვენ კონკრეტული ინფორმაცია, რას შეეწირნენ ეს ადამიანები?**

– მე ჰაერზე არ ვამბობ, რომ მიხეილ სააკაშვილს ჰყავდა შექმნილი სიკვდილის ესკადრონები. ვინც მათ დანაშაულებრივ ქმედებაზე ფლობდა ინფორმაციას, სასტიკად უსწორდებოდნენ, ფაქტობრივად, დახვრეტას უსჯიდნენ. ბუნებრივია, პაატა ქარდავამ იცოდა ამ სიკვდილის ესკადრონების არსებობა, ის იყო დაზვერვის თანამშრომელი და რა თქმა უნდა, არ აწყობდათ ასეთი სახის მოწმის არსებობა. სხვათა შორის, გეტყვით ძალიან საინტერესო ფაქტს, სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩამოყალიბებული სიკვდილის ესკადრონები ძალიან ჰგავს ბელორუსის პრეზიდენტის, ლუკაშენკოს მართვის მეთოდს, ბელორუსში სწორედ სიკვდილის ესკადრონების დამსახურებით ასამდე ადამიანია დაკარგული, მათ დღემდე ეძებს ოპოზიცია და ოჯახის წევრებიც, მათ შორის არიან მაღალი თანამდებობის პირები, ერთ-ერთია თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, უშიშროების ყოფილი მინისტრი და ა.შ. აქ იკვეთება სიკვდილის ესკადრონების შემქმნელის, ვიქტორ შეიმანის გვარიც, რომელიც ამჟამად ლუკაშენკოს ადმინისტრაციის უფროსია. მათ ჰქონდათ კონტაქტები საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასთან, ძალოვანი სტრუქტურების მაშინდელი წარმომადგენლებთან. სხვათა შორის, ლუკაშენკომაც აღნიშნა თავის ერთ ერთ გამოსვლაში, რომ ის მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია.

დადასტურებული ფაქტია და ამას წინათ კოტე ფორჩხიძემაც გააჟღერა ეს ფაქტი, რომ მერაბიშვილისა და შეიმანის შეხვედრა მოხდა ერევანში. კოტე ფორჩხიძე არის სპეცსამსახურის ოფიცერი და შემთხვევით არ იტყოდა ამ ინფორმაციას, გარდა ამისა, მან პირადად მითხრა, რომ ვანო მერაბიშვილს ძალოვანი უწყებების სხვა მაღალჩინოსნებსა და ბელორუს ჩეკისტებს შორის კავშირი არსებობდა. სხვათა შორის, ამირან მესხელმა ისიც განმიცხადა, რომ ბელორუსის „კაგებეს“ ჯგუფი მუშაობდა ვანო მერაბიშვილის მინისტრობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ამიტომ რა გასაკვირია, რომ სააკაშვილმა შექმნა სიკვდილის ესკადრონები. ამით იმის თქმა მინდა, რომ სიკვდილის ესკადრონების შექმნა შემთხვევითი არ იყო, მათ ბელორუსის პრაქტიკა გადმონერგეს, მოტივაცია იყო შიში და ტერორი ადამიანებში, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურების მიმართულებით, რასაც წარმატებით მიაღწიეს. აი, ამ პრაქტიკის წყალობით კი ის ქართველი სპეცსამსახურის თანამშრომელი მზვერავები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებოდნენ ქვეყანას და თავს სწირავდნენ მტერთან ბრძოლაში, საკუთარი ხელით ჩახოცეს. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ადამიანების ლიკვიდაციის შეკვეთა მოდიოდა მოსკოვიდან, როგორც ჩანს, ომის პერიოდში მათ ისეთი გმირობა ჩაიდინეს, რა თქმა უნდა, რუსეთს არ აწყობდა, ასეთი ადამიანები ქართულ მხარეს ჰყოლოდა, ეს ადამიანები ასრულებდნენ სპეციალურ დავალებებს, მტრის ზურგში იყვნენ, შეუქმნეს მათ საკმაოდ დიდი პრობლემები, ფლობდნენ ძალიან ბევრ ინფორმაციას ქართულ მხარეზე და ბუნებრივია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნებისთვის და რუსებისთვისაც საუკეთესო გამოსავალი იყო ამ ადამიანების მოშორება. ამ მეთოდს იყენებდა საბჭოთა „კაგებეც“, სწორედ ისინი კლავდნენ ადამიანს თავში გასროლით, შემდეგ ფეხზე აბამდნენ მძიმე ლოდს და ზღვაში აგდებდნენ, უცხო ქვეყანაში მოქმედი „კაგებეს“ დივერსანტული მოქმედების ჯგუფები სწორედ თავში მიბჯენით კლავდნენ ადამიანებს და ზღვაში ყრიდნენ.

**— როგორ ფიქრობთ, შეიძლება კვალი შამათავას გასცდეს და წავიდეს უფრო ზემდგომ პირებზე?**

– მე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ, თუკი გამოძიება წავა აქტიურ რეჟიმში, თუკი დაიკითხებიან კონტრდაზვერვის მაშინდელი თანამშრომლები და ხელმძღვანელი პირები, მერწმუნეთ, მხოლოდ ამ ორი მკვლელობის კვალი გაივლის მეგის ქარდავასა და ამირან მესხელს და მივა სააკაშვილმერაბიშვილამდე. ვერავინ ასეთი სასტიკი მეთოდით ვერ გაბედავდა ადამიანის ლიკვიდაციას, თუკი მერაბიშვილი არ იქნებოდა საქმის კურსში. მერაბიშვილი კი ყველაფერს მიხეილ სააკაშვილს უთანხმებდა. მე ვამბობდი და დღესაც ვაცხადებ, რომ მეგის ქარდავა გადასულია გალის რაიონში, რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და ის არის რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის უშუალო პატრონაჟის ქვეშ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეს ქართველი გმირები რუსეთის სპეცსამსახურების აგენტების ხელით იქნენ მოკლული.

**„მკვლელობის კვალი მივა მერაბიშვილამდე. ვერავინ ასეთი სასტიკი მეთოდით ვერ გაბედავდა ადამიანის ლიკვიდაციას, თუკი მერაბიშვილი არ იქნებოდა საქმის კურსში. მერაბიშვილი კი ყველაფერს მიხეილ სააკაშვილს უთანხმებდა“**



**„მე ჰაერზე არ ვამბობ, რომ მიხეილ სააკაშვილს ჰყავდა შექმნილი სიკვდილის ესკადრონები. ვინც მათ დანაშაულებრივ ქმედებაზე ფლობდა ინფორმაციას, სასტიკად უსწორდებოდნენ, ფაქტობრივად, დახვრეტას უსჯიდნენ“**

»» **შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ომბუდსმენი ტყიბულში მომხდარ ფაქტს ეხმაურება



სახალხო დამცველი მთავრობას მოუწოდებს, უმოკლეს დროში დაიწყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება ტყიბულის მაღაროში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

„2014 წლის 10 ივნისს მედიასაშუალებების მიერ გავრცელდა ინფორმაცია 9 ივნისს ტყიბულში მინდელის სახელობის შახტაში საწარმოო პროცესის დროს 6 მეშახტის დაშავების შესახებ. სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში სამუშაო ადგილზე დაშავებისა და გარდაცვალების არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, რის შესახებაც სახალხო დამცველმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება. თუმცა, დღემდე შრომის უსაფრთხოების მოწესრიგების კუთხით ეფექტიანი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ტყიბულის მაღაროში მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემების სიმწვავეს. კერძოდ, მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს რეგულაცია, რომლითაც განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების მონიტორინგი სამუშაო ადგილებზე. საკითხის სიმწვავეზე ბოლო წლებში სამუშაო ადგილებზე ფატალური შემთხვევებისა და დაშავებულთა რიცხვის მკვეთრი ზრდა მიუთითებს.

სახალხო დამცველი მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი შემთხვევის გამო და მოუწოდებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მინდელის სახელობის შახტის ადმინისტრაციას, მიმართონ ყველა ღონეს დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

ამასთანავე, სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მთავრობას, უმოკლეს დროში დაიწყოს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების გატარება სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## მოროშკინამ ღარიბაშვილს „ნაცების“ „დივერსანტზე“ ინფორმაცია მიაწოდა



ლალი მოროშკინა „ფეისბუკის“ პირად გვერდზე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს და ვიდეომასალას ავრცელებს:

ბატონო ირაკლი, არჩევნებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა, შესაბამისად, „ნაციონალური მოძრაობა“ ხვდება თავის კრახს და გადადის „ოცნებაში“ ჩანერგილი დივერსანტების გააქტიურებაზე. ერთ-ერთი ყველაზე საშიში ფიგურა მალხაზ ჩიკვილაძეა – სუს-ის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი! ვფლობ მასალებს, როგორ იბირებდა ის ჟურნალისტებს და სხვა უწყების თანამშრომლებს თქვენს წინააღმდეგ სამუშაოდ.

შეგახსენებთ, ეს ის მალხაზ ჩიკვილაძეა, რომელიც ყოფილი „ზონდერ“ მთავრობის გენინსპექციის უფროსის ვასილ სანოძის მოადგილე იყო და კარგად ჩანს მშვიდობიანი ხალხის წინააღმდეგ კისტის თოფიდან სროლის კადრებში. უმორჩილესად გთხოვთ, საბოტაჟის თავიდან ასაცილებლად შეუჩეროთ ამ ადამიანს უფლებამოსილება“. – წერს მოროშკინა სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## წულუკიანი იმამყულიევის კანდიდატურის აღდგენას მიესალმება



უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე მიესალმება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც გაუქმდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება და აკმამედ იმამყულიევს, როგორც ყველა კანდიდატს, არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლება.

„2014 წლის 6 ივნისის სხდომაზე, უწყებათაშორისმა კომისიამ მთელი სიმკაცრით დაგმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელი პირების მხრიდან მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია იმის გამო, რომ მოცემულმა პარტიამ მიუღებლად მიიჩნია იმამყულიევის გამგებლობის კანდიდატობიდან მოხსნის გადაწყვეტილება. უწყებათაშორისმა კომისიამ, აგრეთვე, დაგმო „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან პოლიტიკურ პროცესში ჩართულ მოქალაქეთა ეთნიკურ კუთვნილებაზე მუდმივი აპელირება, მათ შორის მარნეულის შემთხვევაში.

ამასთანავე, კომისიამ და მისმა თავმჯდომარემ ხაზი გაუსვეს იმას, რომ იმამყულიევის კანდიდატურის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების შესაცვლელად არა ფიზიკური ძალა ან ვერბალური აგრესია, არამედ გასაჩივრების კანონიერი გზები უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რათა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის სწორი გადაწყვეტილება დამდგარიყო.

უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე მიესალმება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც გაუქმდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება და იმამყულიევს, როგორც ყველა კანდიდატს, პოლიტიკურ შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეეძლება.

უწყებათაშორისი კომისია კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომ მიუღებელია და ქვეყნისთვის საზიანოა ყოველგვარი ძალადობა, მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციაზე, და რომ წინასაარჩევნო კამპანიისას ყველა კანდიდატს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად. საბოლოო და თავისუფალ არჩევანს გააკეთებს ამომრჩეველი არჩევნების დღეს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## კალაძე სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება



აკმამედ იმამკულიევის „ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის გამგებლობის კანდიდატად დატოვების შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ეხმაურება. კალაძის თქმით, „დემოკრატიული ქვეყანა ვართ, თავისუფალ პრინციპებს ვემხრობით და მიიღო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება“, – განაცხადა კალაძემ.

შეგახსენებთ: ცესკოს გადაწყვეტილებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მარნეულის გამგებლობის კანდიდატს აკმამედ იმამყულიევს რეგისტრაცია 5 ივნისს გაუუქმდა. (ნიუპოსტი)

რა ახალი საფრთხის წინაშე დგას მოსახლეობა და რატომ აგორდება მალე ახალი დევნილების ტალღა საქართველოში? რა უნდა ვიცოდეთ სწრაფი სესხების შესახებ?

ისტორია არა გაქვს, თუ მოგება არა გაქვს 100 000 ლარის ოდენობა წელიწადში და საერთოდ, თუ უძლიერესი არ ხარ. ამ დროს თუ მცირე მეზობელია და ზოგთანაც ერთად გვისწავლია და ზუსტად ვიცით, რომ მათ ჩვენი, ხალხის ფული წაიღეს და ახლა ამერიკაშიც ინვესტიციები ჩვენ ომიც გამოვიარეთ, სეტყვაც და ვინმემ გაგვიჩერა პროცენტი? ვინმემ გადაგვივადა? ვინმე შევიდა ჩვენი მოქალაქის მდგომარეობაში? შეღავათის ნაცვლად ამ ხალხს პროცენტი პროცენტი გამოდის? 730 პროცენტი!!

**— მოსახლეობას რომელი ბანკი სთავაზობს ამ სწრაფ სესხს?**

– კერძო ბანკები, რომლებიც კერ-

# სწრაფი სესხებით ოჯახებს ქუჩაში დარჩენა ემუქრებათ?

## საბანკო ექსპერტი მოსალოდნელ საფრთხეებს შიფრავს

**„ალიას“ ესაუბრება საერთაშორისო საბანკო ექსპერტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამუკა ხუციშვილი:**

– სანამ თემაზე გადავიდოდე, პატარა შესავალს გავაკეთებ. თუ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ და ნამდვილად გვინდა ევროპაში ყოფნა, მაშინ ჯერ საბანკო პროცენტებს გადავხედოთ და შევადაროთ ევროპას. ევროპაში ორი ცენტრალური ბირჟაა, დოლარისა და ევროსი და 500 ბანკი წელიწადში ნახევარ პროცენტად ასესხებენ თანხებს. ანუ, თუ რომელიმე პიროვნება მილიონს ისესხებს, მისგან წელიწადში ბანკები ნახევარ პროცენტს იღებენ. ასეთი დაბალი პროცენტია ევროპაშიც და ამერიკაშიც. აზია კი საერთოდ პროცენტს სხვანაირად უყურებს და ასეთ სახით თანხის მოგებას იქ ცოდვად თვლიან, ამიტომ აზიაში საინვესტიციო საქმეში შემოდიან წილით, ჯერ საქმეს გაწყებინებენ და შემდეგ მოგების იმ წილში ჯდებიან, რაზეც წინასწარ შეთანხმდებით.

აქ რა ხდება? იმ პროცენტზე მინდა დაგელაპარაკოთ, რასაც ბანკები გვართმევენ და ჩვენს ხარჯზე მდიდრდებიან. ჩვენ ბანკები დღეს გვეუბნებიან, რომ კრედიტს არ მოგცემ განსავითარებლად, თუ ორი-სამი წლის წარმე ვარ, საიდან უნდა მქონდეს ამხელა მოგება და ასეთი ფული? ამიტომ დღეს საქართველოში ბიზნესის გაფართოებისთვის დებენ იმხელა ქონებას, ის ბიზნესი რომ ჩაიძიროს, სამუდამოდ დალუპულები არიან, რადგანაც ბანკებს მათი ქონებაც სათავისოდ აქვთ შეფასებული.

**— მე ერთმა უბრალო ადამიანმა, თუ ამ უმუშევრობაში მაქვს იდეა, აბა რა უნდა ვქნა?**

– ვერაფერს იზამთ. მილიონრები, ოლიგარქები რომ გვამოძღვრავენ, როგორ ვიშოვოთ ფული, დაკვირვებიხართ, თუ ახსენებენ, როგორ იშოვეს მათ თავისი პირველი მილიონი საქართველოში? ზოგი ჩვენი აქვთ და რუსეთშიც. რატომ არის სომხეთსა და აზერბაიჯანში კრედიტი ნორმალური, მისაღები უმცირესი პროცენტით და რატომ უკიდია ჩვენთან პროცენტს ცეცხლი? რატომ ღირს ერევანში ჩვენი „ბორჯომი“ 80 თეთრი და ჩვენთან ლარი და ოცი თეთრი? საწვავი ჩვენგან შედის სომხეთში და, რატომ ღირს იქ გაცილებით ნაკლები, ვიდრე საქართველოში? ხომ შეიძლება, შენს ადამიანებსა და საზოგადოებას გაურთხილდე და პროცენტი დაწიო? სომხეთში სტიქიური უბედურება რომ ხდება, კრედიტის პროცენტს გლეხს უჩერებენ და უვადებენ.



აუწიეს, დოლარში 10-11 პროცენტი გახადეს, ლარში 9 პროცენტი და ამის გამო დღეს 600 000 კაცია მოვალეთა რეესტრში. ასე ქართული საქმე არ გაკეთდება, რადგანაც, ჩემი აზრით, ამ ხალხს კიდევ დაემატება რამდენიმე ათასეული გალატაკებული ადამიანი, რაზეც ახლა უნდა გელაპარაკოთ და რის გამოც, ეს ყველაფერი შესავალის სახით ვილაპარაკე. ამით მინდა, მოსახლეობა გავაფრთხილო, რა საფრთხის წინაშე დავდექით უკვე: ესაა სწრაფი სესხები. დღე ერთია და, რამდენიც გინდათ მესიჯები მოგვდის სწრაფი სესხების შესახებ, ასევე სავსეა ინტერნეტი და ტელევიზიები ამ განცხადებებით, რომ სახლიდან გაუსვლელად, პირდაპირ ახლა, არავითარი ისტორიის გამოკითხვით, უადვილესად, უიოლესად, უმარტივესად აშენდებითო და რა ვიცი, კიდევ რა ტექსტებია.

**— რა არის სწრაფი სესხისთვის საჭირო?**

– მარტო ანგარიში ბანკში, მეტი არაფერი და პირადობის მოწმობა. მოკლედ, ინტერნეტის საშუალებთ წამიერად ხდება სახსრების მოზიდვა.

**— და რა ვადის სესხებია?**

– ხუთდღიანი, ათდღიანი, ერთთვიანი და პროცენტს არ იკითხავთ? ხუთ დღეში 30-35 პროცენტია დარიცხვა და იცით, წლიურად რამდენი ძო საფინანსო ინსტიტუტებია და მათი ზოგადი კონტროლი ეროვნულ ბანკს ეხება, თუ პირდაპირ არა, როგორც მაკონტროლებლის, ისე ირიბად, რადგანაც აქ ფულის მიმოქცევა ხდება და, აქვე ვიტყვი, ეროვნულმა ბანკმა კარგად მოიძიოს, ამ ორგანიზაციების დამფუძნებლები ვინ არიან, ეს ერთი და იგივე ხალხია, რაც არ იმალება. მაგრამ ამ შემთხვევაში ვაფრთხილებ გაჭირვებული ოჯახების პატრონებს, ამ სწრაფი სესხებით მათ ქუჩაში დარჩენა ემუქრებათ, და ასევე, მინდა ვუთხრა ეროვნულ ბანკს, ბატონებო, თუ ზომებს არ მიიღებთ, საქართველოში დევნილების ახალი ტალღა გაჩნდება.

**— კარგად გამარკვიეთ, რა ხდება?**

– მე ტექნიკურ უნივერსიტეტში ვასწავლი, აქვე ვტრიალებ და ვხედავ: უამრავი მოთამაშე სარგებლობს ამ სესხით, ასევე ნარკოტიკებზე დამოკიდებული, რომელსაც არაფერი აინტერესებს და იღებს სესხს, არის ნაწილი გაჭირვებულიც, მაგრამ ძირითადად ამ სწრაფი სესხის მომხმარებელი პირველი ორი კატეგორიაა, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში არც ახსოვს, რომ სესხი აიღო. ამ დროს სწრაფი სესხის დებულებით მექანიკურად უკვე მსესხებლის ბინაც ჩადებულია და მისი მთლიანად

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### მუცოს რეაბილიტაცია ზაფხულში დაიწყება



პრემიერის დავალებით, უახლოეს პერიოდში მუცოს რეაბილიტაცია დაიწყება. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ხევსურეთში სტუმრობისას განაცხადა, ძეგლის რეაბილიტაციისთვის თანხები უკვე გამოყოფილია.

„მუცო საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი და გამორჩეული ძეგლია, ჩვენი სიამაყეა, რომელიც ყველას აცვიფრებს თავისი სილამაზითა და მიუწვდომლობით. ჩვენი ვალია, მივხედოთ და გადავარჩინოთ ეს უნიკალური არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ციხე-ქალაქი, რომელიც განადგურების პირასაა და სამწუხაროდ, წლების განმავლობაში არ ექცეოდა ყურადღება. ჩემი დავალებით, გამოვყავით შესაბამისი თანხები და ჩვენ დავიწყეთ ამ მნიშვნელოვანი ძეგლის რეაბილიტაცია. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საფრთხე დაემუქროს ხევსურეთისა და საქართველოს დარაჯად წოდებულ, შუა საუკუნეების ამ უძველეს და ისტორიულ ძეგლს. კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა და მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება, ეს არის თითოეული მოქალაქის და პირველ რიგში ხელისუფლების პასუხისმგებლობა. ამიტომ ჩვენ სასწრაფოდ მივიღეთ გადამჭრელი ზომები და ამ ზაფხულსვე დავიწყებთ სამუშაოებს იმისთვის, რომ სრულად მოხდეს ძეგლის აღდგენა. დარწმუნებული ვარ, აღდგენა-რესტავრაციის შემდეგ მუცო ახალი ბრწყინვალებით წარმოჩნდება და ჩვენ პირნათელი ვიქნებით ჩვენი წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ნანუაშვილი აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ქმედებას ეხმიანება



სახალხო დამცველი აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მედეა ვასაძის ქმედებას ეხმიანება. ომბუდსმენის აპარატის ცნობით, 9 ივნისს ტელეკომპანია „ტვ 25“-მა გაავრცელა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრს მედეა ვასაძესა და ჟურნალისტ ჯაბა ანანიძეს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც დეპუტატი ჟურნალისტის პირად ცხოვრებას ეხება და ემუქრება.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტმა ჯაბა ანანიძემ შესაბამისი განცხადებით საქართველოს სახალხო დამცველსაც მიმართა. „ტვ 25“-ის ეთერში გავიდა ჯაბა ანანიძის მიერ მომზადებული საგამოძიებო ფილმი „უმაღლესი კომფორტით“, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საბიუჯეტო ხარჯებსა და მათი საქმიანობის ეფექტიანობას ეხებოდა. აღნიშნული სატელეფონო საუბარიც ამის შემდეგ შედგა.

„ჟურნალისტის, ისევე როგორც ნებისმიერი ინდივიდის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია და დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით მისი ხელყოფა. საქართველოს სახალხო დამცველი გმობს მომხდარ ფაქტს და მიიჩნევს, რომ მსგავსი ქმედებები ნებისმიერი თანამდებობის პირის მხრიდან შეიცავს მედიის თავისუფლებაში უხეში ჩარევის ნიშნებს, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიულ სახელმწიფოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრინციპებს.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს აჭარის უმაღლეს საბჭოს, შეისწავლონ მედეა ვასაძის ქმედების კანონიერება და მისცენ შესაბამისი შეფასება. თავის მხრივ, დეტალურ დასკვნას სახალხო დამცველი უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)



### ნოდარ ხადური: „ნაციონალების“ აღებულ ვალებს ჩვენ ვისტუმრებთ

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, „ძალიან ბევრს საუბრობენ, რომ ჩვენ ძალიან ბევრ ვალს ვიღებთ. 2012 წელს 4,4 მილიარდი ლარი იყო თითქმის სახელმწიფო ვალი, 2013 წელს მისი მოცულობა შემცირდა და ამჟამად წარმოადგენს 4,1 მილიარდ ლარს. „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ აღებულ ვალებს ჩვენ ვისტუმრებთ. 2013 წელს საქართველომ 194 მილიონი დოლარი საგარეო ვალი გადაიხადა, ხოლო 2014 წელს კიდევ 288 მილიონი დოლარის ვალის გადახდას გეგმავს“, – განაცხადა ხადურმა. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

ქონებაც.

— **სესხის ამღები არ არის ამის შესახებ გაფრთხილებული?**

– სხვათა შორის, ქვემოთ წვრილი ასოებით მიწერილია, რა ელით სესხის ამღებებს. მათი ვალდებულება ზოგადი საბანკო ტერმინოლოგიით, მაგრამ, პირდაპირ არ წერია, რომ სესხის ამღები პირადი ქონებით აგებს სესხზე პასუხს. კი, წერია თქვენი პასუხისმგებლობითო, მაგრამ ეს გაუგებარია მოსახლეობისთვის და პირდაპირ თავში არ გირტყამს, თან აქ ერთი ფსიქოლოგიური მომენტია: ეს ხალხი იმ წუთში ამას არ აკვირდება და არც აინტერესებს ეს მინაწერი, ის მოთამაშეა ან ნარკომანი. ოჯახს კი აყენებს დარტყმის ქვეშ და ერთ მშვენიერ დღეს ის თქვენი 50 ლარი სრულიად შესაძლებელია, ავიდეს 50 000-მდე და სახლის დაკარგვამდე, რადგანაც შემოდის აღმასრულებელი და აგიწერთ ქონებას. თუ ამოიღეს თავისი თანხა, ხომ კარგი, და თუ არა, ბინა იკარგება. მანდ კიდევ ერთი ნიუანსია: როცა ხდება პროცენტის გადაუხდელობის გადაცდენა, ამის შესახებ არც გეტყვიან, უზარმაზარ პროცენტს ისე დაგარიცხავენ. უფრო დაწვრილებით გეტყვით მექანიზმს: ვთქვათ, ავიღე 10 ლარი და გავიდა ხუთი დღე, თუ არ შევიტანე პროცენტი, ყოველდღიურად უკვე საკმაოდ დიდი პროცენტი მერიცხება. გავიდა კიდევ ერთი თვე: გერიცხებათ უკვე პროცენტის პროცენტი და ამას ვერავინ შეგიჩერებთ. ამის შემდეგ უკვე ავტომატურად ჯდები მოვალეთა რეესტრში, ამის შემდეგ უკვე საზღვრის გადაკვეთის უფლება არ გაქვთ და, თუ ოდესმე სამსახური იშოვეთ, ეს ფული ავტომატურად გამოგექვითებათ წლების მანძილზე მთლიანი ოდენობით. ესაა სწრაფი სესხის გადაუხდელობა და ამას არავინ უხსნის მოსახლეობას, რომ ეს არის ახალი საფრთხე, ახალი ხაფანგი გაჭირვებული ხალხისთვის.

— **თქვენ ბრძანეთ, ხელფასის ცნობას არ ითხოვენო და არ აინტერესებთ, რა ქონება მაქვს და შემიძლია თუ არა ვალის გასტუმრება?**

– არაფერი აინტერესებთ! 18 წლის ხარ? ვინ ხარ, რა წრეში ხარ, რის თავი გაქვს, იმ 500 თუ 1000 ლარის გადამხდელი ხარ? არ აინტერესებთ! გაქვს პირადობის მოწმობა? აიღე და გადაიხადე 720 პროცენტი წლიური! ეროვნულმა ბანკმა უნდა დაარეგულიროს ეს საკითხი, როცა მსესხებელი არც მუშაობს და არც შემოსავალი არ აქვს და სესხს რომ იღებს, არაფერი? ასევე, უნდა მოხდეს, ალბათ, ეროვნული ბანკის მიერ საკანონმდებლო დონეზე ამ ყველაფერის რეგულირება, ასევე, უნდა მოხდეს კერძო ბანკების პროცენტის რეგულირებაც, რადგანაც მათ ეროვნული ბანკი სესხს აძლევს 3 პროცენტად და ეს კერძო ბანკები კი 10-11 პროცენტად გასცემენ სესხს და არ არის ეს ამბავი შესასწავლი? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს მიკროსაფინანსოები ეროვნული ბანკისაა და რომ მათ არავინ შეეხებათ. მე გამაგიჟა თავად ამ 720-მა პროცენტმა. ანუ, ვიღაცამ ამ საქმეში მილიონი ჩადო, წლის ბოლოს მიიღებს 7 200 000-ს წმინდა მოგებას.

— **მაგ თანხას ბეგარა გამოაკელით.**

– კაი, ბატონო, 20 პროცენტი დაიბეგრებოდა ეს თანხა და გამოვაკლოთ მილიონ ოთხასი ათასი. კერძო მევახშეები რომ იყვნენ, მათ მიმართ პარლამენტმა მიიღო კანონი, რომ მოსახლეობიდან ასაღები პროცენტი შეეზღუდათ, 36 პროცენტზე მეტს ვერ აიღებენ პირისგან, მაგრამ კანონში დარჩა ღრმული: ეს მათ შეუძლიათ 2000 ლარის ზემოთ შეიზღუდონ, 2000 ლარამდე კი რამდენსაც მინდა, იმდენ პროცენტს დავადებ. ბარელამ მიეღოთ ეს კანონი მთლიან თანხაზე. ეს იყო ეროვნული ბანკიდან შეთავაზება კანონმდებლობაში და ახლაც ცვლილებაა შესატანი, რომ ამხელა პროცენტი არ არსებობდეს გადასახადი. ეს ეროვნული ბანკის გასაკეთებელია.

**კომენტარისთვის დავუკავშირდით ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს კახა ბარაბაძეს, რომელიც დაგვპირდა კომენტარის გაკეთებას, მაგრამ შემდეგ ზარზე აღარ გვიპასუხა. თუ ეროვნულ ბანკს ექნება პასუხის გაცემის სურვილი, მასაც მოვუსმენთ.**

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50



„ეროვნულმა ბანკმა კარგად მოიძიოს, ამ ორგანიზაციების დამფუძნებლები ვინ არიან, ეს ერთი და იგივე ხალხია, რაც არ იმალება. მაგრამ ამ შემთხვევაში ვაფრთხილებ გაჭირვებული ოჯახების პატრონებს, ამ სწრაფი სესხებით მათ ქუჩაში დარჩენა ემუქრებათ“




„ჩვენ ვიცით, რომ ეს მიკროსაფინანსოები ეროვნული ბანკისაა და რომ მათ არავინ შეეხებათ. მე გამაგიჟა თავად ამ 720-მა პროცენტმა. ანუ ვიღაცამ ამ საქმეში მილიონი ჩადო, წლის ბოლოს მიიღებს 7 200 000-ს წმინდა მოგებას“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მინუს 41% კლება იყო კომუნალურ მომსახურებასა და სათამაშო ბიზნესში“



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, იანვარ-აპრილში კომუნალურ და პერსონალური მომსახურების გაწევის სექტორში, მათ შორის სათამაშო ბიზნესში 13%-იანი კლება დაფიქსირდა, ხოლო საფინანსო საქმიანობის სექტორში – დაახლოებით 1.5%-იანი კლება.

„რაც შეეხება აპრილს, მინუს 41% კლება იყო კომუნალურ მომსახურებასა და სათამაშო ბიზნესში. ამ კლებაში ძალიან დიდია „თბილსერვისის“ ხვედრითი წილი. წინა პერიოდში მისი ანაზღაურების წესი განსხვავებული იყო და ელექტროენერგიის მოხმარებაზე იყო მიბმული. ახლა ტარიფი ფიქსირებულია და, შესაბამისად, შემოსავლები დაკლებულია. თავს შევიკავებ კონკრეტული კაზინოების ჩამოთვლისგან, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩვენი სამსახურები შეისწავლიან, რატომ არის შემცირებული ამ კაზინოებში ბრუნვა. იმის გამო, რომ ხალხი არ დადის, თუ იმის გამო, რომ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. ეს შეიძლება ერთგვარი გაფრთხილებაც კი იყოს იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც აპრილში ბრუნვა შემცირებული აქვთ“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა. (ნიუპოსტი)

## საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობაზე ორი პირი დააკავეს



შსს-ს სასაზღვრო პოლიციის პირველი სამმართველოსა და საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული ვარდენ რ. და 1988 წელს დაბადებული ზურაბ ქ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები კირნათის სასაზღვრო სექტორის დასაცავ მონაკვეთზე, სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით უკანონოდ გადაკვეთას ცდილობდნენ. ვარდენ რ. საზღვრის კვეთისას დააკავეს, ხოლო ზურაბ ქ-მ გაქცევა და მიმალვა მოახერხა. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად ის ბათუმში დააკავეს. დადგინდა, რომ ზურაბ ქ. ქობულეთის რაიონული სამმართველოს მიერ 2010 წლის 11 იანვრიდან ქურდობისთვის იძებნებოდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მოუსმინეთ ყველას, მაგრამ დაუჯერეთ საკუთარ სინდისს“



„საქართველოს მოქალაქეებს ვურჩევ, მოუსმინონ ყველას, თუმცა დაუჯერონ საკუთარი სინდისის ხმას“, – ასე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ გაქრობაზე საუბრობს.

„არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ყველას ვუსურვებ, ჩამოყალიბდეს მშვიდად და გააკეთოს პირადი, საკუთარი არჩევანი, მოუსმინოს ყველას, მაგრამ დაუჯეროს მხოლოდ საკუთარი სინდისის ხმას. ასეთ შემთხვევაში მე მაქვს ეჭვი, ვინ გაიმარჯვებს, თუმცა ამაზე ორშაბათს ვისაუბროთ“. – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

## მარგველაშვილი ნატო-სა და ევროკავშირის ქვეყნებს მადლობას უხდის



საქართველოს პრეზიდენტი ნატო-სა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის გამო მადლობას უხდის.

„მივესალმებით იმას, რომ მათ კიდევ ერთხელ გამოხატეს საკუთარი პოზიცია და დაგმეს ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში ჩატარებული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები. ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოქალაქეებს მრავალი წელია, წართმეული აქვთ საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ლეგიტიმური უფლება, რეგიონში დარჩენილი მოქალაქეების უფლებები კი საოკუპაციო რეჟიმის მიერ ყოველდღიურად ირღვევა. საერთაშორისო დამკვირვებლებს, მათ შორის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს, ოკუპირებულ რეგიონებში შესვლისა და ადამიანის უფლებათა მძიმე ვითარების ასახვის შესაძლებლობა არ ეძლევათ. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 2014 წლის 8 ივნისს ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში უკანონოდ გამართული ე.წ. საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების სრულ უპატივცემულობასა და უგულებელყოფას წარმოადგენს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## მოსკოვში თბილისელი „კანონიერი ქურდი“ ვატო ჩოჩია გარდაიცვალა

თბილისელი „კანონიერი ქურდი“ ვატო ჩოჩია მოსკოვში 60 წლის ასაკში გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, ჩოჩია საოპერაციო მაგიდაზე დაიღუპა. არ არის გამორიცხული, იგი სამშობლოში დაკრძალონ.

ჩოჩია რუსეთში 90-იანი წლებიდან ცხოვრობს და მას კრიმინალურ სამყაროში ხშირად გენერლად მოიხსენიებდნენ. (ნიუპოსტი)

# ნანა დევდარიანი: „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართველი ხალხის წინაშე თავი მოიჭრა“



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ამომრჩეველთა დიდი ნაწილის სურვილს პასუხობს, „ნაციონალები“ რამდენიმე დღეში პოლიტიკური სივრციდან გაქრებიანო. გახდება თუ არა ეს სლოგანი გადამწყვეტი „ოცნების“ საბოლოო გამარჯვებისთვის, ამას 15 ივნისის არჩევნების შედეგები გვიჩვენებს, თუმცა ლოგიკურია დავსვათ კითხვა, – რატომ არჩევნების შემდეგ, მანამდე რატომ არ ფიქრობდა „ქართული ოცნება“, დამნაშავე რეჟიმი გაესამართლებინა? გვიპასუხოს ხელისუფლებამ, როგორ აღმოჩნდნენ „ოცნების“ სიაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები? როგორ გავიგოთ, როცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილის ძმა არის „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური სახე?

წარმოვიდგინოთ, როგორ შეიძლება რამდენიმე დღეში პოლიტიკური სივრციდან გაქრნენ „ნაციონალები“, მაშინ, როცა პრემიერის ამ განცხადების საპირწონედ პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ცნობილი ფრაზაა, – „ჩვენი ამოცანაა, გადავარჩინოთ „ნაციონალური მოძრაობა“. თუ შორს წავალთ, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას ახლახან ნათქვამი განცხადება შეგვიძლია შევახსენოთ საზოგადოებას, – „ჩვენ მოგვიწევს „ნაციონალებს“ ბევრი რამ ვაპატიოთ“. ერთია, როცა თავდაცვის მინისტრი ბედავს და ხალხის სახელით ლაპარაკობს, იმ ხალხის სახელით, რომელმაც საკუთარ ტყავზე იწვნია 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმი, ქვეყანას ჰყავს 300 ათასი პრობაციონერი და მეორეა, რომ ალასანია კანონზე მაღლა აყენებს საკუთარ თავს. რა უნდა ეპატიოს „ნაცმოძრაობას“, ეს სასამართლოს გადასაწყვეტია და სხვათა შორის, იმ სასამართლოსი, რომელიც ჯერ კიდევ „ნაციონალები“ ხელშია. შესაბამისად, „ოცნების“ წარმომადგენლების განცხადება, თითქოს, სასამართლო „ნაციონალების“ მარწუხებიდან გაათავისუფლეს, ჰგავს იმ ჰალუცინაციას, როცა გინდა დაიჯერო ის, რაც ბუნებაში არ არსებობს.

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ნანა დევდარიანი:**

**— „ენდიაი“ მორიგ კვლევას აქვეყნებს, სადაც წერია, რომ წინა არჩევნებთან შედარებით საარჩევნო გარემო არის მძიმე, სცემენ პოლიტიკოსებს, მოჰყავთ ნუგზარ წიკლაურის, ზურაბ ჭიაბერაშვილის ფაქტები. „ნაციონალი“ გოგა ხაჩიძე ამერიკის ელჩს საგანგაშო მიმართვას უგზავნის, სადაც წერს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ზეწოლისა და უკანონობის ორგანიზატორები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არიან. მოუწოდებს ნორლანდს, მეტი პრინციპულობით მოითხოვოს ხელისუფლებისგან დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემოს შექმნა, თუმცა გოგა ხაჩიძესა და სხვა „ნაციონალებს“ ავიწყდებათ, რომ ძალადობა შობს ძალადობას, აგრესია შობს აგრესიას. ჩვენ გვახსოვს არჩევნები, როცა ქვებით, ტყვიებით, ცოცხებით გვიტარებდნენ არჩევნებს. თქვენი აზრით, როგორია წინასაარჩევნო გარემო?**

– ნუგზარ წიკლაური სცემეს თუ დაეცა, ეგ კიდევ საკითხავია. სხვათა შორის, არავის არ დაუდასტურებია, რომ ის ნაცემია. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში და დაეცა. შესაძლოა, ეს ჩემი ნათქვამი ცინიზმად ჩათვალონ, თუმცა ეს მათი უფლებაა. საერთოდ, რა განცხადებებია, კვერცხის სროლაზე რომ აღშფოთდნენ, რაც „ნაციონალების“ გამოჩენას ცაგერში მოჰყვა, მანამდე კი ზუგდიდში. დაავიწყდათ „ნაციონალებს, ქვის სროლით რომ მოვიდნენ დიდ პოლიტიკაში, ჯერ კიდევ 2003 წლის არჩევნებზე?!. თუ მათ დაავიწყდათ, ჩვენ ამნეზია კი არ დაგვმართნია. მარტო ქვებს კი არა, თოფებსაც ისროდნენ, იგივე ზუგდიდში და თუ გნებავთ, ქვემო ქართლში. ასე არიან მოსული ხელისუფლებაში და ასე ინარჩუნებდნენ რეჟიმს. ვერ გავიგე, ექსკლუზივი აქვთ აღებული ძალადობაზე? დღეს ამბობენ, – ვინც ანტიდისკრიმინაციული კანონის მომხრე არ არის, იმას უნდა ძალადობაო. 9 წელი „ნაციონალები“ ძალადობდნენ საკუთარ ხალხზე, როგორ უბრუნდება „ნაციონალურ მოძრაობას“ ენა, სხვისკენ თითი გაიშვიროს? მე არა ვარ ძალადობის მომხრე, მაგრამ რაც ხდება, ამ ყველაფერს აქვს ჩვეულებრივი, ადამიანური ახსნა, „ნაციონალები“ იმკიან იმას, რაც დათესეს. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო აქ კი აღშფოთდება, ხალხი დახოცეს და პატარა ბავშვი დაიღუპა უკრაინაში, მაგრამ იქ არ არიან შეშფოთებულები, იძახიან, იქ სახელმწიფო თავის ლეგიტიმურ უფლებებს იყენებსო. გამოდის, რომ საკუთარი ხალხის დაბომბვა აღმაშფოთებელი არ არის, ჭიაბერაშვილს თუ გამწარებული ადამიანი ჭიქას ჩაარტყამს, ეს არის აღმაშფოთებელი. ეს უკვე ორმაგი სტანდარტიც აღარ არის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართველი ხალხის წინაშე თავი მოიჭრა. ქვეყნის მთავარი მწამებელი მათ მიაჩნდათ დემოკრატიის შუქურად, ასეთი შეფასება შეიძლება გააკეთოს ან გაუთვითცნობიერებელმა ადამიანმა, ან ანგაჟირებულმა. ამიტომ, მათი შეშფოთება და განწყობილება ქართველი ხალხისთვის ანგარიშგასაწევი არ უნდა იყოს.

წინასაპრეზიდენტო არჩევნები იყო ინერციული და ბიძინა ივანიშვილის ხათრით არჩეული. ის ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრი იყო, ეს სერიოზული ფაქტორია და ნურავის დაავიწყდება, მას შემდეგ ივანიშვილი დიდი პოლიტიკიდან წავიდა და

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## მოსწავლეთა უფლებების ცენტრი იქმნება

საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის ინიციატივით მთელი საქართველოს მასშტაბით იქმნება საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგაზე დაქვემდებარებული „საქართველოს მოსწავლეთა უფლებების ცენტრი“, რომლის მთავარი მიზანი იქნება მოსწავლეთა უფლებების დაცვა, მათი გათვითცნობიერება თავიანთ უფლებებში, საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის სხვადასხვა პროექტებსა თუ აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვა და ა.შ.“ – განაცხადა, საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის პრეზიდენტმა ნოდარ თათვიძემ. (ნიუპოსტი)

## პოლიტპატიმრების სიის შედგენის დროს პარლამენტმა შეცდომები დაუშვა?



პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი თავდაცვის მინისტრის ალასანიას განცხადებას ეხმაურება. ალასანიას თქმით, „დღეს არსებული სიტუაცია, როდესაც პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული პირები ნატო-სა და ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდიან, მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის შემცველია და ამნისტიის დროს პარლამენტს ამაზე მეტი დრო უნდა დაეხარჯა“.

როგორც სესიაშვილი აცხადებს, პოლიტპატიმრების სიის შედგენის დროს შესაძლოა, პარლამენტმა შეცდომები დაუშვა.

„როდესაც პოლიტპატიმრების საკითხს ვიხილავდით, რთული სიტუაცია იყო. მაშინ ჩვენ შევცვალეთ ხელისუფლება და ეს იმ ფონზე, როცა ციხეში არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი. რთულია, იჯდე პარლამენტში, ყველა საქმეს დეტალურად იხილავდე, მთელი რიგი პატიმრები უკანონოდ იყვნენ დაკავებულები და ამას უყურებდნენ. მოგვიწია ამ პროცესის დაჩქარება. დავეყრდენით საერთაშორისო ანგარიშებს, არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციას. შეიძლება, შეცდომა დავუშვით, მაგრამ როდესაც ხდება ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ვფიქრობთ, რომ უფრო მეტი სიკეთე გავაკეთეთ“, – განაცხადა სესიაშვილმა.

მან უსაფრთხოების სისტემაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს სფერო დღეს ძალიან ძლიერია.

„ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს უსაფრთხოების საკითხთან და შემიძლია, გითხრათ, რომ უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობის ხარისხმა იმატა. ყველგან, სადაც შეიძლება, იყოს საფრთხე, ტარდება პრევენციული ტიპის ღონისძიებები. საფრთხეები ყოველთვის არსებობს, მაგრამ ამის მინიმალიზებას სახელმწიფო ახერხებს“, – აღნიშნა სესიაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მთავრობა ლარსთან შექმნილი პრობლემების დასაძლევად ალტერნატიულ გზებს ეძებს



ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აცხადებს, რომ სახელმწიფო ლარსის საბაჟო პუნქტის ჩაკეტვით გამოწვეული პრობლემის გადასაჭრელად ალტერნატიულ გზებს ეძებს. ხადურის განცხადებით, დარიალის ხეობაში გზა მზად არ არის საიმისოდ, რომ მასზე მძიმეწონიანმა ტრაილერებმა იარონ.

„მიდის მუშაობა, რომ გზა გაიხსნას და მძიმეწონიანმა მანქანებმა გაიარონ. ჩვენ ალტერნატივებს ვეძებთ არსებული პრობლემის გადასაჭრელად, თუმცა დეტალებზე არ მინდა ახლა საუბარი. ვაპირებ, რამდენიმე დღეში ადგილზე ჩავიდე“, – განაცხადა ხადურმა.

მინისტრის თქმით, ლარსის საბაჟოზე არსებული ვითარება როგორც თურქეთის, ისე სომხეთის მიმართულებით ტრანზიტს აძვირებს. (ნიუპოსტი)

## როგორ მოახერხა დარბაისელმა თანამდებობიდან ნარკოლოგიური შემოწმების გარეშე წასვლა?



სოზარ სუბარის პრესსამსახურის ყოფილი უფროსი, ირაკლი კორძაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელზე, დიმიტრი დარბაისელზე სოციალურ ქსელში სკანდალურ განცხადებას აქვეყნებს.

„პრემიერის მიერ უკანასკნელ პრესკონფერენციაზე დაუნდობელი ნარკოპოლიტიკის დეკლარირების ფონზე მეტად უცნაურია ის, თუ როგორ მოახერხა დიმიტრი დარბაისელმა თანამდებობიდან ნარკოლოგიური შემოწმების გარეშე წასვლა. გამოდის, მარიხუანის მოწევისთვის ვინმე ბექას 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდება. სამაგიეროდ, დიმიტრი დარბაისელს ჰეროინის მოხმარებისთვის 39 000-ლარიანი პრემია და პრემიერის მადლობა ვაჟკაცობისთვის და გაწეული სამსახურისთვის...“ – წერს ირაკლი კორძაია. (ნიუპოსტი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

დაგვიტოვა ის ხელისუფლება, რაც დაგვიტოვა. ახლა ტარდება არჩევნები სრულიად განსხვავებულ ვითარებაში. ხალხი ხედავს, რომ ხელისუფლება „ნაციონალურ მოძრაობას“ ვერ ერევა, სათანადო ოპონირებასაც კი ვერ უწევს. ორი წელია, რაც ხელისუფლებაში არიან და სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე ხალხს უმტკიცებენ, სამართლიანობა აღვადგინეთო. ეტყობა, განცხადებას რომ აკეთებდნენ, საკუთარი თავი ჰქონდათ მხედველობაში. როგორ წარმოგიდგენიათ, ადამიანი როცა გაიგებს, „ოცნების“ მინისტრმა თვეში აიღო 80-ათასლარიანი ხელფასი თავისი სახელფასო დანამატით, ვიღაცამ შედარებით ინამუსა და 50 ათასი აიღო, როგორ იქნებიან გამწარებული დამშეული ადამიანები?!.

**— სწორედ არჩევნების წინ შეიტყო საზოგადოებამ, რომ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებს ძალიან დიდი ხელფასები დაურიგდათ მაშინ, როცა საქმე პრაქტიკულად არ გაკეთებულა. იმოქმედებს ეს არჩევნების შედეგებზე?..**

– ჩემი პროგნოზით, აღარ იქნება ორპარტიული, ადგილობრივი თვითმმართველობა, იქნებიან სხვა პოლიტიკური მოთამაშეებიც, რაც მეტი პარტია იქნება საკრებულოებში წარმოდგენილი, მით უფრო კარგია მოსახლეობისთვის, რაც მეტი პარტიაა, მეტ კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. საბოლოო ჯამში, ამომრჩეველი რჩება მოგებული. ვიღაც-ვიღაცები პანიკას თესენ, რომ შეიძლება ადგილობრივ არჩევნებს რევოლუცია მოჰყვეს. გამორიცხულია, ადგილობრივ არჩევნებს რევოლუცია არ მოჰყვება, მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ ეს არის გენერალური რეპეტიცია მომდევნო საპარლამენტო არჩევნების წინ. შემდეგი არჩევნები ორ წელიწადშია, ეს ორი წელიც ძალიან მალე გავა. კარგი იყო, ოპოზიცია გაერთიანებულიყო, რაც ვერ მოხერხდა და გასაკვირი არ არის, თუმცა ვფიქრობ, რომ ნინო ბურჯანაძის პარტიას ამ ადგილობრივ არჩევნებზე სერიოზული შანსები აქვს. ვფიქრობ, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძეს თბილისში მოგების შესაძლებლობა აქვს, ნარმანიასა და მელიას დებატები უკიდურესად არასაინტერესოა, ერთი მეორეს ეძახის, – თქვენ გააფუჭეთ და ჩვენ გავაკეთებთო, „ნაციონალების“ სლოგანია – „ერთად ავამუშაოთ თბილისი“, ოცნების – „ერთად ვიზრუნოთ თბილისზე“, ესენი ხალხნო, თავისი სლოგანით გვიმტკიცებენ, რომ ერთად არიან. ახლა ამომრჩეველმა ეს ერთობა უნდა დაშალოს, სხვა შემთხვევაში არაფერი შეიცვლება.





„ჯო ბაიდენის ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილს უთხრა, – რა გამიჭირვე საქმე, ყველგან რას დამდევო!.. როგორც ადრე „უსატკავებდა“ შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ხან კაბინეტთან და ხანაც ტუალეტთან, დაახლოებით იგივე ვითარებაა დღეს“

**— სააკაშვილი კიევიდან აცხადებს, რომ მისი პოლიტიკური ძალის რეიტინგი უახლოეს ადგილობრივ არჩევნებზე გაიზრდება, — აი, რაც შეეხება ჩემს რეიტინგს, როცა მოვისურვებ, მაშინ გავზრდიო. სხვათა შორის, საინტერესოა თეთრი სახლის პოლიტიკოსების განწყობა, ჯო ბაიდენმა უკრაინაში სააკაშვილის დანახვისას განაცხადა, — „იცნობ ამ ბიჭს? ის ყველგანაა!..“ როგორ გავიგოთ, დასავლეთს ის კვლავ შემოჰყავს აქტიურ პოლიტიკაში?**

– ჯო ბაიდენის ეს განცხადება ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილს უთხრა, – რა გამიჭირვე საქმე, ყველგან რას დამდევო!.. როგორც ადრე „უსატკავებდა“ შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ხან კაბინეტთან და ხანაც ტუალეტთან, დაახლოებით იგივე ვითარებაა დღეს. ცდილობს, რამენაირად იტივტივოს პოლიტიკაში. რაც შეეხება მის განცხადებას, – როცა მინდა ჩემს რეიტინგს გავზრდი, – ეს ასე არ ხდება. მას რეიტინგი დღესაც აქვს, ოღონდ ნეგატიური და თუკი ამ ნეგატიური რეიტინგის გაზრდას აპირებს, გამოდის, დაუსამარებია „ნაციონალური მოძრაობა“ და ეგ არის...

**— რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენლის — ვლადიმერ მარკინის განცხადება, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში 2008 წლის მოვლენებზე პასუხისმგებელნი არიან მიხეილ სააკაშვილი, დავით კეზერაშვილი, ვანო მერაბიშვილი და სხვა პირები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების სრულ განადგურებას, მათ წინააღმდეგ უნდა გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნა. ეს არის პოლიტიკური განცხადება თუ ამის მიღმა უფრო სერიოზული რამ ხდება.**

– რუსები თავიდანვე ამბობდნენ, რომ სააკაშვილი არის კაცი, რომელსაც წესიერი ადამიანი ხელსაც არ ჩამოართმევს. მედვედევს თავის დროზე ჰქონდა ინტერვიუ, მათ შორის ქართველ ჟურნალისტებთან და თქვა, – ყველაზე მეტად სააკაშვილმა დააზარალა საკუთარი ქვეყანა, ეს არის სრული სიმართლე, მაგრამ რუსეთი, განსხვავებით საქართველოსგან, არის თანმიმდევრული, მით უფრო მაშინ, როცა ეს ეხება საგარეო პოლიტიკას. რა თქმა უნდა, მან ეს განცხადება უნდა გააკეთოს იმიტომ, რომ ხელს ადებენ კონკრეტულ დანაშაულზე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხვალ ვინმე გაიქცევა და სააკაშვილს დააპატიმრებს. ყოველ შემთხვევაში, მისი რეაქტიული აქტივობები უკრაინაში, არც უკრაინას რომ არ წაადგება, არც რუსეთსა და არც საქართველოს, ეს ფაქტია. სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ხომ სრულიად უპასუხისმგებლოები არიან. სააკაშვილისთვის მთავარია, თვითონ იყოს მოვლენების ეპიცენტრში, იყოს ლიდერი, ულებდნენ კამერებით, ესაა მთავარი, იმის იქით არ აინტერესებს, თუ გინდა დაქცეულა ქვეყანა, სულ ასე არ იქცეოდა?!.

**— ფიქრობთ თუ არა, რომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში რადიკალური საკადრო ცვლილებები განხორციელდება გაძლიერების მიზნით?**

– არ მგონია, მინისტრების ცვლამ რეალურად რამე შეცვალოს. რამდენი ცვლილებაც გააკეთეს, კიდევ უარესი მივიღეთ. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ღარიბაშვილს რაღაც მომენტში მოუწიოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე წასვლა, რადგან ეს საჭიროა მისი პოზიციების განმტკიცებისთვის, სხვათა შორის, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილი კვლავაც პოლიტიკაში მობრუნდეს.

**„გამოდის, რომ უკრაინაში საკუთარი ხალხის დაბომბვა აღმაშფოთებელი არ არის, ჭიაბერაშვილს თუ გამწარებული ადამიანი ჭიქას ჩაარტყამს, ეს არის აღმაშფოთებელი. ეს უკვე ორმაგი სტანდარტიც აღარ არის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართველი ხალხის წინაშე თავი მოიჭრა“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „დროა, ამ ხალხზე ძებნა გამოცხადდეს!“



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გივი თარგამაძე, პროკურორების არყოფნის გამო, გიგი უგულავას სასამართლო პროცესის მეორედ გადადებას სოციალურ ქსელში ეხმაურება:

„გიგი უგულავას პროცესზე პროკურორები ისევ არ გამოცხადდნენ. კვლავაც ბათუმში, კონფერენციაზე იმყოფებიანო. არადა, ბათუმში არანაირი კონფერენცია არ იმართება. მგონი, ის დროა, ამ ხალხზე ძებნა გამოცხადდეს. უცბად რომ გამოჩნდეს რამდენიმე ადამიანი, ვინც იტყვის, დავინახეთ, ბათუმში ნავმისადგომთან მიიყვანეს, ნავში ჩასვეს, სიღრმეში გაიყვანეს... მაშინ ხომ ჩავთვლით, ეგ ამბავი ჰაკიმს როგორ არ ეცოდინებოდაო? ხოდა, თავის თავს ხომ არ დაიჭერს? ისე, შვილო, მთავარი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო, მერად რამდენიმედღიანი აღდგენა მაგრად არ გვიღირს, ნუ ამოხოცავ პროკურორებს! მთავარია, მათ ძებნაზე ჰაკიმმა ბუნჩულას დავალება არ მისცეს, ეგ საქმე პირად კონტროლზე აიყვანეო, თორემ ეგ ხალხი აღარ გამოჩნდება... გამაგრდით, პროკურორებო, ჰაკიმი ჩაივლის მალე“, – წერს გივი თარგამაძე „ფეისბუკის“ გვერდზე. (ნიუპოსტი)



## ნორლანდს მშვიდი არჩევნების იმედი აქვს

აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა, საქართველოში წინასაარჩევნო გარემო შეაფასა.

„საერთაშორისო საზოგადოება ყურადღებით აკვირდება წინასაარჩევნო გარემოს, რადგან საქართველომ საკმაოდ მაღალი სტანდარტი აჩვენა ბოლო არჩევნებზე, არსებობს გარკვეული შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება მთავრობის ზოგიერთი განცხადება ინტერპრეტირებული იქნას ადგილობრივ დონეზე, ჩვენი გამოცდილება იმ ადამიანებთან დაკავშირებით, რომლებიც არჩევნებზე მუშაობენ, აჩვენებს, რომ ისინი პროფესიონალები არიან. რა თქმა უნდა, როდესაც არიან ადამიანები, რომლებიც აგრესიულად იქცევიან არჩევნებზე მომუშავე პირთა მიმართ, ესეც დაგმობილი უნდა იყოს. ჩვენ გვჯერა არჩევნები კარგად ჩატარდება, თუმცა არის ნიუანსები რომელებიც რეაგირებას საჭიროებს“, – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ალიანსმა საქართველოს მისწრაფებას „მაპ“-ის მინიჭებით უნდა უპასუხოს



ნატოს ექსპერტებმა ამის შესახებ ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენისადმი უელსის სამიტამდე გაგზავნილ რეკომენდაციაში განაცხადეს.

„ნატოს უელსის სამიტზე ალიანსმა მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს, რომ ალიანსის კარი ღიაა ქვეყნებისთვის, რომლებიც მზად არიან აიღონ ვალდებულება და აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, განსაკუთრებით მაკედონია და მონტენეგრო. ნატომ საქართველოს მისწრაფებას ალიანსის წევრობისკენ უნდა უპასუხოს წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭებით „მაპ“-ით“, – ნათქვამია მიმართვაში.

ქვეთავში „ახალი მიდგომები რეგიონალურ პარტნიორებთან და მზადება მომავალი გაფართოებისთვის“, აღნიშნულია, რომ „ალიანსმა უნდა იპოვოს ახალი გზები უკრაინასთან თანამშრომლობისთვის“.

„ნატო უნდა მოემზადოს მომავალი გაფართოებისთვის იმის გამო, რომ ნატოს მომავალი პარტნიორები ისჯებიან ინტეგრაციის მცდელობისა და სურვილის გამო. ალიანსმა უნდა იპოვოს მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომლებიც დაეხმარება პარტნიორებს, როგორიცაა საქართველო, რომ გახდეს ნატო-ს წევრი. ამიტომ უნდა დაპატიჟონ ევროპული სახელმწიფოები, რომლებმაც არაერთხელ მოახდინეს დემონსტრირება იმისა, რომ არიან ნატოს პარტნიორები და ალიანსმა ისინი აუცილებლად უნდა მიიწვიოს“, – აცხადებენ ექსპერტები. (ნიუპოსტი)



## მამუკა კაციტაძე ხელისუფლებას მადლობას უხდის

„ერთიანი ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა კაციტაძე ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობას უხდის. „დიდი მადლობა, რომ ტყვიებს, ქვებს აღარ გვესვრით, ისე, როგორც ამას წინა ხელისუფლება აკეთებდა. მადლობა, რომ ჩვენს მხარდამჭერებს ნარკოტიკებს არ უდებთ ჯიბეში, თუ სახლში! დიდი მადლობა, რომ ღია წნეხს არ ახორციელებთ ჩვენზე!

თუ ამ ყველაფერს, ჩვენი მხრიდან მადლობის გადახდა სჭირდება, არ დავიშურებ! მაგრამ დამეთანხმებით, რომ ტყვიების, ქვების სროლა და წნეხი არ არის ის გარემოებები, რომლითაც უნდა განისაზღვროს წინასაარჩევნო გარემო. არავინ დავობს იმაზე, რომ წინასაარჩევნო გარემო უკიდურესად არათანაბარ პირობებში მიმდინარეობს!“ – განაცხადა მამუკა კაციტაძემ. (რეპორტიორი)



## თიკო სადუნიშვილმა საკუთარი შარდის ფოტო გამოაქვეყნა



მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მსურველთა აქციას სახელწოდებით „შარდში კრიმინალს ვერ იპოვი“ თიკო სადუნიშვილიც შეუერთდა. კანცელარიის წინ საკუთარი შარდით სავსე ქილის მიტანასთან ერთად, თიკომ ამ ქილის ფოტო სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა წარწერით: „მოვდივართ“.

***droni.ge***

## ირინა ონაშვილი: „აღარ მიყვარხარო, ბღაოდა“



„ორ ვარსკვლავში“ მონაწილეობის გამო ირინა თავისი 2 წლის საბასთვის ვერ იცლიდა. ახლა გეგმავს, როგორ დაისვენოს შვილთან ერთად...

– საბა ორი წლისაა და ჯერ ქალაქგარეთ არ მყოლია გაყვანილი. ჩაფიქრებული მაქვს, სულ რომ ვკვდებოდე, ეს ზაფხული უნდა ვატარო – მთაშიც და ზღვაზეც. ორი თვე უნდა ვატარო, ზამთარს გაკაჟებული უნდა შევხვდეთ. პროექტში ყოფნის დროს საბასთვის რომ ვერ ვიცლიდი, ტელევიზორში არ მიყურებდა, აპროტესტებდა. ლადო ეძახდა, მოდი, ირინა მღერის, უყურეო, არ მოდიოდა, საერთოდ არ უნდოდა ეკრანისკენ გახედვა. შინაგანი პროტესტი ჰქონდა.

საერთოდ, ყურადღებიანი დედა ვარ, ყველაფერი მაინტერესებს, კვებით დაწყებული, ჩაცმით დასრულებული. მიყვარს კულტურული ბავშვები. სულ რაღაცას ვასწავლით. ძიძა მეხმარება, ძირითადად მანანას გაზრდილია. დედობამ ყველაფრით შემცვალა. ადრე თუ მარტივად მწყინდა და ვბრაზდებოდი, ახლა ასე არ ვარ. ბავშვი უდიდესი სტიმულია. მინდოდა, თბილი ყოფილიყო და ასეც არის. ჩემს დაზე გიჟდება, დაუნახავს, მუხლი უჩანს, მივა და აკოცებს. მხარზე მკოცნის, თბილია საბა. ამით ყველას კიდევ უფრო აგიჟებს. ჩემს დისშვილებზე, თავის და-ძმაზე გიჟდება. ძმაზე გადარეულია, თან იკუ ასაკით შედარებით მისი ტოლია. დასაძინებლად რომ შევიყვანე და იკუს მოვაშორე, აღარ მიყვარხარო, ბღაოდა, იკუ მინდაო. ლადო კარგი მამაა. ეს მანამდეც ვიცოდი. ექიმთან თუ არიან წასაყვანი, ყველაფერს გადადებს და მიჰყავს. სხვა რამე რომ ვთხოვო, შეიძლება ვერ მოიცალოს, შვილებისთვის სულ სცალია. ლადომ ჰკითხა, საბა ვისიაო და იმან, ირინასიო, უპასუხა და ლადო გაბრაზდა. ენატლიკინა და მაიმუნი ბავშვია. დილით წამოყოფს თავს, – თქვენთან მინდაო და გადმოგვიხტება საწოლში.

***primetimenews.ge***



## „ნიკა მელიას, ასი რომ მქონდეს, ერთს არ დავანახებ“ – სკანდალი გრძელდება

ჟურნალ „რეიტინგის“ მიერ გამოქვეყნებულ სიას, „ყველაზე შეუსაბამო წყვილები“, სადაც ერთ-ერთი წყვილი მანჩო გიორგობიანი და ნიკა მელია არიან, მანჩო სოციალურ ქსელში ეხმაურება.

– აუფფფფ.... ნიკანორ მელიასმაგვარს, ასი რომ მქონოდეს, ერთს არ დავანახებ... (პროტოქართული...) – წერს გიორგობიანი.

შეგახსენებთ, რომ მანჩო გიორგობიანისა და ნიკა მელიას დაპირისპირება 9 აპრილის მემორიალთან დაიწყო, როდესაც დაღუპული გმირების ხსოვნისთვის პატივის მისაგებად მისულ მელიას გიორგობიანი თავს დაესხა.

***skandal.ge***

## რა ინციდენტი მოხდა „იქს ფაქტორის“ სცენაზე – „სალომეს უჩალიჩებენ...“



„იქს ფაქტორის“ მორიგ ტურზე, მიუხედავად იმისა, რომ „სტაფი“, რომელიც ამ პროექტზე მუშაობს, ყოველთვის მოწესრიგებული და მობილიზებულია, პატარა ინციდენტი მაინც მოხდა. პირდაპირი ეთერის მსვლელობის დროს ფილარმონიის სცენაზე დამონტაჟებული ეკრანები გაითიშა. ეს ყველაფერი სალომე ტეტიაშვილის გამოსვლას დაემთხვა.

მას მერე, რაც წამყვანებმა, ია სუხიტაშვილმა და გეგა ფალავანდიშვილმა შემდეგი მონაწილე, სალომე ტეტიაშვილი გამოაცხადეს, ეკრანზე ვიდეო გამოჩნდა, სალომე მოცეკვავეებთან ერთად სცენაზე გამოვიდა და მოულოდნელად ყველა ეკრანი ჩაქრა.

მომღერალი კულისებში შეაბრუნეს. ამან მაყურებელში მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ამბობდნენ, რომ სალომეს უჩალიჩებენ, თორემ რაღა მის გამოსვლას დაემთხვა ეს ხარვეზიო. ტექნიკური ხარვეზის დროს „რუსთავი 2“-ის ეთერში რეკლამა გავიდა.

ამასობაში სცენა თორნიკე ყიფიანისთვის მოამზადეს და მუსიკალური ინსტრუმენტები შემოიტანეს. პროცესი ისე გაიწელა, აივანზე მსხდომმა ბიჭებმა სიმღერაც კი დაიწყეს. როგორც ჩანს, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები იყვნენ. „გამარჯვების გზებზე ვდგებითო“, დაიწყეს და აჰყვათ დარბაზიც. ის-ის იყო, მისამღერზე გადავიდნენ, რომ დარბაზში ნაცნობი ხმა გაისმა, – „აბა, ეთერში შესასვლელად მოემზადეთ, ერთი, ორი, სამი, „დინამოთი“ ვერ შევალთ ეთერში...“

კონკურსი თორნიკე ყიფიანის გამოსვლით გაგრძელდა, სალომე კი სცენაზე თორნიკეს შემდეგ გავიდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ყველაფერი ძაბვის ვარდნის ბრალი ყოფილა.

სალომე ტეტიაშვილი:

– ძაბვის ვარდნის ბრალი იყო, მე როგორც გავიგე... უფრო ვინერვიულებდი, შუა სიმღერის დროს რომ მომხდარიყო ეს ყველაფერი.

არავინ არაფერს მიჩალიჩებს, ეს სისულელეა, ნამდვილად ვიცი, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო.

***reitingi.ge***

## ეკა კვალიაშვილი: „ამ დღეებში დავარღვევ დუმილს და სიმართლეს ვიტყვი“



ეკა კვალიაშვილი სოციალურ ქსელში მორიგ განცხადებას ავრცელებს. მოგეხსენებათ, ეკას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და მისთვის სპეციალურად ტელემარათონი გაიმართა.

საფრანგეთში სამკურნალოდ წასული მომღერალი რამდენიმე კვირის წინ დაბრუნდა, თუმცა როგორ ჩაიარა მკურნალობამ, ამაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. ეკამ რამდენიმეჯერ დააანონსა, რომ პრესკონფერენციას მოაწყობდა.

ამჯერად კვალიაშვილმა კიდევ ერთხელ შექმნა მოლოდინი. რის თქმას აპირებს, ამას, ალბათ, რამდენიმე დღეში გავიგებთ, თუმცა საინტერესოა, რა მოხდა რეალურად და ვინ გააბრაზა მომღერალი.

– ძალიან მალე, უმოკლეს დროში, ამ დღეებში დავარღვევ დუმილს და იმ სიმართლეს ვიტყვი, რაც არ იცის საზოგადოებამ და დამფრთხალი ვირთხების პრინციპით, ჩემი ანტიპიარი და ავად ხსენება დაიწყო ერთმა ვიღაცამ და აჰყვა ერის შეუგნებელი და ჭორიკანა ნაწილი.

სულ მალე დავდებ ფაქტებს და მიხვდებით, სრულ ანარქიაში რომ არის სული და ხორცი საქართველოში“, – წერს ეკა „ფეისბუკის“ პირად გვერდზე.

***reitingi.ge***

## ია ფარულავა: „ეს ვირი ჟურნალისტი“



„როგორც ვირი, ისე უსვამდა კითხვებს სააკაშვილს!!! სად იყო ეთიკა ჟურნალისტური?“ – კითხულობს „მაესტროს“ ჟურნალისტის კითხვებით გაკვირვებული ია ფარულავა.

მსახიობი და ტელეწამყვანი მიხეილ სააკაშვილის „მაესტროს“ ეთერში ჩართვას ეხმაურება და ამ ფაქტთან დაკავშირებით, პოსტს სოციალურ ქსელში ათავსებს.

ია ფარულავა:

– როგორც ვირი, ისე უსვამდა კითხვებს სააკაშვილს!!! სად იყო ეთიკა ჟურნალისტური? სულ, რომ გებელსი ან ჰუსეინი ყოფილიყო, ასეთი განწყობა არ უნდა ჰქონოდა... თითქოს წინასწარ იყო გაფრთხილებული, მაგრად დადექიო, მიშა გავლენას მოახდენსო :))))))) ჟურნალისტიკა ჯორჯიან სთაილ ფუი....

გავიგეთ, რომ მიშამ ჩაიკუკა ხალხს სამართლიანობის აღდგენა უფრო უნდა, ვიდრე სამსახურები და შეკეთებული სახურავები და გზები. სხვათა შორის დღეს მითხრეს დადასტურებულად თბილისის ერთ-ერთი რაიონის შეკრებიდან გამოსულმა ადამიანებმა, მაგრამ შე ოხერო, შენი განწყობა სახლში შეინახე ან ჩაგებარებინა სამსახიობოზე“...

***newposts.ge***

## ნინო გაჩეჩილაძე: „ძალიანაც მსიამოვნებს, მაგრამ როდემდე“...



მსახიობმა ნინო გაჩეჩილაძემ „ფეისბუკის“ გვერდზე კიდევ ერთი თაიგულის ფოტო დადო და შემდეგი შინაარსის პოსტი გამოაქვეყნა:

– არა, მე ნამდვილად არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ძალიანაც მსიამოვნებს, მაგრამ როდემდე? – ეს მსახიობის კართან, უჩინარი თაყვანისმცემლის მიერ დატოვებული უკვე მესამე თაიგულია.

ნინო კომენტარებში ხუმრობს კიდეც, – „ასე თუ გაგრძელდა, ლარნაკები არ მეყოფაო“. როგორც ირკვევა, მსახიობმა პირველი ყვავილი რამდენიმე დღის წინ მიიღო. მაშინ ფოტოსთან ერთად ამ სახის კომენტარი გაჩნდა „ფეისბუკზე“.



ნინო გაჩეჩილაძე: „არ ვიცი, ვინ მაჩუქა ეს ულამაზესი ოთახის ყვავილი, მაგრამ ახლა თუ ამ პოსტს კითხულობს, მინდა ვუთხრა: დიდი მადლობა, ძალიან გამიხარდა“, – ამ პოსტს მეგობრებზე მიწერილი შემდეგი სახის კომენტარი მოჰყვა: „კარებთან დამხვდა, ავტორს უნდა, ინკოგნიტოდ დარჩეს და ეს მომწონს ზუსტად“.

***newposts.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ქმარი სახლში გვიან დაბრუნდა. ხედავს: ბავშვი ჩასვრილია, ქაქშია ამოსვრილი, ხელში დიდი ჩამჩა უჭირავს და აქეთ-იქით მიყრილ ქვაბებს უბრახუნებს, ყველა კარადის თარო გადმოყრილია, ყველა ოთახში სათამაშოები ყრია, სამზარეულოს იატაკი შაქრით, ბრინჯითა და წიწიბურის მარცვლებითაა მოფენილი, ვახშამი არ არის, მაცივარი ცარიელია, ცოლი კი ზის და ტელევიზორს უყურებს.

ქმარი:

– ეს რა ჯანდაბაა?!

ცოლი მშვიდად:

– ძვირფასო, ყოველ საღამოს, სამსახურიდან რომ ბრუნდები და ირონიულად მეკითხები: „რა ჩემს ფეხებს აკეთებ მთელი დღეო“, აი, გადავწყვიტე, დღეს არაფერი გამეკეთებინა...

*****

ბიბლიოთეკაში:

– სად შემიძლია, მოვძებნო წიგნი თვითმკვლელობების შესახებ?

– აი, იქით, მარცხნივ, მეხუთე თაროზე.

– ჰო, მაგრამ იქ ერთი წიგნიც არ დევს და...

– ეგ იმიტომ, რომ ვისაც მიაქვს, უკან აღარავინ აბრუნებს ხოლმე...

*****

– საშინელ და საზიზღარ დროში გვიწევს ცხოვრება!

– რატომ?!

– იმიტომ, რომ გვეშინია „აიფონის“ დაკაწვრის, მაგრამ ფეხებზე გვკიდია ადამიანისთვის სულში ჩაფურთხების!

*****

ცოლი ქმარს:

– ძვირფასო, მგონი, დროა, ტრენაჟორებზე დაიწყო სიარული, აშკარად ძალიან გასუქდი.

– არც შენ ხარ ნაკლებად ჩაფუნთუშებული!

– მე ქალი ვარ და მეპატიება.

– მე კი კაცი ვარ და ფეხებზე მკიდია!!!

*****



– ყმაწვილო, – გამწარებული ყვირის ასაკიანი მამაკაცი, – თქვენ დამპირდით, რომ ჩემს ქალიშვილს სახლში 12 საათამდე დააბრუნებდით. ახლა ღამის 3 საათია და საერთოდაც, ეს ჩემი ქალიშვილი არ არის!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## რა ახდენს უარყოფით გავლენას ქალის კბილებსა და ფრჩხილებზე



რამდენადაც ცნობილია, თუთია ნებისმიერი სქესის ადამიანისთვის ძალიან საჭირო კომპონენტია, თუმცა ორგანიზმში მისი ჭარბი რაოდენობა იწვევს თმის ცვენას, ფრჩხილების მტვრევასა და კბილების დაზიანებას. განსაკუთრებული საფრთხე კი ამ მხრივ მშვენიერ სქესს ემუქრება.

აღნიშნული დასკვნის ავტორები ბრიტანელი და ინდოელი მეცნიერები არიან, რომლებმაც საკითხთან დაკავშირებით 15 კლინიკური კვლევა ჩაატარეს. შედეგად ნათელი მოეფინა იმ ფაქტს, რომ თუთიის შემცველი პრეპარატები აძლიერებს იმუნიტეტს და ორგანიზმს გაციებისგან და სხვადასხვა ინფექციური დაავადებისგან იცავს, თუმცა გვერდითი ეფექტების გარეშე ასეთი წამლების მიღება არ მთავრდება.

ზემოჩამოთვლილი უსიამოვნებების გარდა, თუთიის ჭარბი რაოდენობა ორგანიზმში სპილენძის ნაკლებობას იწვევს და ასევე, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემის მიზეზიც ხდება.

სპეციალისტები მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მოძღვრავენ, რომ თავი შეიკავონ წითელი ხორცის, ზღვის პროდუქტების, კვერცხის, რძის და იმ პროდუქტების დიდი რაოდენობით მოხმარებისგან, რომლებიც თუთიის შემცველობით გამოირჩევა.

***dr20.ru***

## ამერიკაში „პოლიტკორექტული“ ბიბლია გამოუციათ



ტვინი წაგვჭამეს უკვე ამ დემოკრატიული ფასეულობების პროპაგანდით და უარზე არც ვართ, ბატონო, მაგრამ იცით, რას ვერ ვხვდებით? დემოკრატია მაინცდამაინც იმას ნიშნავს, რომ რელიგია გაბითურდეს და გაუფერულდეს?! აბა, მაშ რა შეიძლება დავარქვათ იმას, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამერიკაში ხდება?

როგორც ირკვევა, ამერიკის წიგნის მაღაზიებში ბიბლიის „პოლიტკორექტული“ ვერსიის გაყიდვები დაიწყო, რასაც საზოგადოების ერთი ნაწილის სერიოზული და საფუძვლიანი აღშფოთება მოჰყვა, მეორე ნაწილი კი სიახლით ფრიად კმაყოფილია.

ე.წ. პოლიტკორექტულ ბიბლიაში, რომელიც კათოლიკეებისა და ევანგელისტებისთვის გამოიცა, გენდერულად ნეიტრალური სიტყვები ყოფილა გამოყენებული.

მაგალითად, „ადამიანები“ შეცვლილია „კაცობრიობით“, „ქალწულის“ ნაცვლად გამოყენებულია „ახალგაზრდა ქალი“. ასევე, ამ ახალ ბიბლიაში ვერსად შეხვდებით სიტყვას „ცოდვილი ბუნება“ და ასე შემდეგ.

***top.rbc.ru***

## გერმანიაში ძროხის... გაზებს ყიდიან, ჩრდილოეთ კორეაში კი ადამიანების... ექსკრემენტებს



აბა, დაფიქრდით: რას სარგებლობა მოაქვს ძროხას? მართალია, ძროხა გვაძლევს ხორცს, რძეს... ბუნდლას არა, მაგრამ სამაგიეროდ, გერმანელებს გაზებით კი უზრუნველყოფს და რაც მთავარია, მათ უსაზღვროდ აბედნიერებს.

როგორც ირკვევა, გერმანელებმა სპეციალურ ქილებში „ჩასხმული“ ძროხის გაზების გაყიდვები დაიწყეს და „პროდუქტმა“ სულ მალე ძალიან დიდი პოპულარობაც მოიხვეჭა.

თითო აქოთებული ქილა 6 ევრო ღირს და მას ძირითადად, ის კატეგორია ყიდულობს, რომელიც სოფლიდან საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა.

პროექტის „სოფლის ჰაერი მასებს“ მენეჯერები ამბობენ, რომ ძროხის გაზები გაყიდვების ნამდვილ ჰიტად იქცა.

სხვათა შორის, სარეკლამო სლოგანიც ისეთივე უცნაურია, როგორც თავად პროდუქტი: „უბრალოდ, მიიტანეთ ქილა ცხვირთან, მოხსენით ხუფი და შეისუნთქეთ სოფლის ნამდვილი არომატი“.



ცნობილია ისიც, რომ უახლოეს მომავალში გერმანელები სხვა ცხოველების სუნის გაყიდვების დაწყებასაც აპირებენ.

პროდუქტი მართლაც ძალიან უცნაურია, მაგრამ გერმანელები ჯერ კიდევ შორს არიან ჩრდილოეთ კორეისგან, სადაც თურმე, ადამიანების ექსკრემენტების გაყიდვები დაწყებულა.

როგორც ირკვევა, ჩრდილოეთ კორეაში გაიხსნა მაღაზიები, რომლებიც კლიენტებს ადამიანის განავალს სთავაზობენ.

ასეთი უცნაური იდეა კორეელებს მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც აღმოჩნდა, რომ ქვეყანა სასუქისა და სხვა მსგავსი პროდუქტების სერიოზულ ნაკლებობას განიცდიდა.

***metro.co.uk; news.nationalpost.com***

## ყველაზე ძვირადღირებული სათამაშოები



აბა, გაიხსენეთ, გქონდათ თუ არა ბავშვობაში საყვარელი სათამაშო და ზუსტად რომელი? თუკი თოჯინაზე ან პლუშის დათუნიაზეა ლაპარაკი, იმედები უნდა გაგიცრუოთ: არც ერთი და არც მეორე სათამაშო სულაც არ არის! ვითომ, რათაო?! იმიტომაო, რომაო ამას ჩვენ კი არ გეუბნებით, არამედ ვვარაუდობთ, რომ სწორედ ასე გეტყოდნენ აუქციონზე, თუკი, ვთქვათ, სათამაშოს გაყიდვის სურვილი გაგიჩნდებოდათ.



აუქციონებისთვის სათამაშოდ აღიარებულია მექანიკური რამე-რუმეები, რომელთა დაშლა და ხელახლა აწყობა იქნებოდა შესაძლებელი.

მოკლედ, დღეს პროგრამაშია: ყველაზე ძვირადღირებული სათამაშოები, რომლებიც აუქციონებზე ოდესმე გაყიდულა.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ რატომღაც კოლექციონერებს ისეთი სათამაშოები უფრო ხიბლავთ, რომლებსაც მეხანძრეებთან აქვს კავშირი.

– მერკლინის წარმოების სახანძრო ტუმბო, რომლის თითქმის ყველა დეტალი ნიკელირებულია, გარდა სახელურის ბურთულებისა, რომლებიც წითელი ხისგანაა დამზადებული. სათამაშოს სიმაღლე, სულ რაღაც, 15 სანტიმეტრია და ბუნებრივია, მუშა მდგომარეობაშია. თუკი ამ სახანძრო ტუმბოს შეძენის სურვილი გაგიჩნდებათ, გაითვალისწინეთ, რომ ამჟამინდელ პატრონს მასში 24 ათასი აშშ დოლარი აქვს გადახდილი.



– რაღა 24 და რაღა 24,5 ათასი? მაშინ შეგიძლიათ არცთუ დიდი ზომის ფაეტონი იყიდოთ მოძრავი საჭით, რომელსაც მოტორის დასაქოქი ღილაკიც აქვს მოსახერხებელ ადგილას დამონტაჟებული. ფაეტონის სავარძლები ძვირფას ტყავშია ჩასმული, სხვადასხვა დეტალი კი წითელი ხითაა გაფორმებული.



– ძველი ბრიტანული ფლოტის სამხედრო გემის ზუსტი ასლი. ხომალდის კომპლექტში შედის განგაშისა და ზეიმის დროშები. იარაღის ყველა დეტალი მოძრაობს. 4 წლის წინათ გემში მისმა ამჟამინდელმა მფლობელმა ზუსტად 32 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. ჰოდა, ზის, ალბათ, ახლა და აბაზანაში გულიანად ერთობა.

– დედიკოებო, მოუფრთხილდით თქვენი ქალიშვილების „სახტუნაოებს“. ვინ იცის, იქნებ, 100 წლის შემდეგ მასში 48 ათასი აშშ დოლარი გადაიხადონ, როგორც ეს „კრისტის“ აუქციონზე 1994 წლის ივნისში მოხდა?! რა განსაკუთრებული თვისებები ჰქონდა სახტუნაოს, სამწუხაროდ, აღარ ზუსტდება, თუმცა რაც არ უნდა იყოს, 48 ათასი მაინც ძალიან ბევრია.



– 55 ათას აშშ დოლარი გადაიხადა ინკოგნიტო კოლექციონერმა ეშმაკის ბორბალში, ბუნებრივია, სათამაშოში. ფიქრობთ, გიჟი და გადარეული თუ იზამდა ასეთ რამეს, არა? რას ბრძანებთ?! აბა, წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნება მაგიდასთან ჯდომა და თითით მინიატურული ეშმაკის ბორბლის ტრიალი, მით უმეტეს მაშინ, როცა გოლფის თამაშის საშუალებას ამინდი არ იძლევა და სადილის მომზადებასაც აგვიანდება.



– ფორტეპიანოს ერთ-ერთი წინამორბედი ინსტრუმენტი – სათამაშო მექანიკური კლავიკორდი, რომლის სიმაღლე, სულ რაღაც, 20 სანტიმეტრი გახლავთ, 71,5 ათას აშშ დოლარად გაიყიდა.

– სახანძრო სათამაშოების კომპლექტი, რომელშიც შედის ცხენები, ოთხი კიბე, ოთხი ტუმბო, ექვსი მეხანძრე და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ერთად აღებული სულ რაღაც 3 კილოგრამსაც არ იწონის, თუმცა ფასი ნამდვილად შთამბეჭდავი აქვს – ამჟამინდელ მფლობელს კომპლექტში 80 ათას აშშ დოლარამდე აქვს გადახდილი.



– ბოლოსთვის ყველაზე უცნაური შემთხვევა შემოვინახეთ, რომელსაც სისულელის სურნელიც დაჰკრავს: ბრეზენტის სახანძრო მილი ნიკელის ციცქნა დეტალებით აბა, რამდენად გაიყიდებოდა? რამდენად და... 231 ათას აშშ დოლარად, წარმოგიდგენიათ?!

***luxemag.ru***

**მიხეილ სახვაძე 599 93-28-03**

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. ნარკოტიკული მცენარე
2. „... დედინაცვალი“
3. მომღერალი მარლ ...
4. მომღერალი ... კალასი
5. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
6. მსახიობი მარჩელო ...
7. მუსლიმანური მარხვა
8. მკაცრი ცხოვრების მიმდევარი
9. ბელორუსიის დედაქალაქი
10. პირადობის მოწმობა
11. ძაღლის ჯიში
12. მზის ღმერთი ეგვიპტეში
13. ხორბლის გასალეწი მოედანი
14. სიო
15. მსახიობი ... პიშარი
16. შხამი. ამზადებენ ინდიელები
17. ანიკოს პირველი ქმარი (ფილმიდან)
18. მწერალი ვიტალი ...
19. მსახიობი ... ბერიმორი
20. სოფლის ტრანსპორტი
21. რუსული ავტომობილი
22. სალმა ჰაიეკი ფილმში
23. ცხენბურთი
24. კონტინენტი სამხ. პოლუსზე
25. აღმოსავლური საჭმელი
26. გულუბრყვილო
27. სამხ. კორეის დედაქალაქი
28. მსახიობი ჯორჯ ...
29. მსახიობი სილვესტერ ...
30. ქრისტიანული ნაგებობა
31. „იდიოტი“ ავტორი
32. მისი დედაქალაქია კარაკასი
33. სათევზაო მოწყობილობა
34. ღრმა ხევი
35. გორკი. „... სამგინის ცხოვრება“
36. ნიკა წულუკიძე მოუში: „... დუელი“
37. მდინარე აღმ. საქართ.
38. ვაჟა-ფშაველა. „... წიფელი“
39. პირის ღრუს თაღი
40. „გრაფი მონტე-...“
41. მდინარე პარიზში
42. პაკისტანის დედაქალაქი
43. ცეცხლის დასანთები ჩხირი
44. სტალინის დედა
45. რუკების კრებული
46. რეპტილია
47. მსახიობი ... კახიანი
48. წყალი კალციუმის მარილებით
49. მსახიობი ... ბესინჯერი
50. ერთიანი ნარდში
51. „სამგროშიანი ...“
52. მსახიობი რასელ ...
53. კომპოზიტორი ... კალმანი
54. მომღერალი ფოლად ... ოღლი
55. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
56. შეჩერება მუსიკაში
57. მწერალი ჟორჟ ...
58. ქალაქის მუნიციპალიტეტი
59. ... გავეყარე და ვუის შევეყარე
60. კოლმეურნეობის წევრი
61. ხურდის მოსაგროვებელი ნივთი
62. მწერალი
63. რკინიგზა, ანუ ...
64. მსახიობი აიშვარია ...
65. მომღერალი ... ჯაგერი
66. სტადიონი რიოში
67. მუსიკალ. ნაწარმოების ფორმა
68. ტრავმატოლოგი ბიჭიკო ...
69. ჩუქურთმა
70. ყვავის ბარტყი
71. ხის ბიჭუნა
72. მდინარე ორინოკოს ველი
73. მწვადი ამერიკულად
74. სოფელი რაჭაში
75. იალქანი
76. ლაჩარი
77. ქვეყნის ისტორია
78. ის, ვინც პარაშუტით ხტება
79. სვირინგი, ანუ ...
80. რძის პროდუქტი
81. ხელის საგრილებელი
82. წისქვილის ქვა
83. ქალაქის ელექტრ. ტრანსპორტი
84. რუსი მხატვარი
85. ველური მხალი
86. მსახ. ... ბეგალიშვილი
87. კომპოზიტორი ... ყანჩელი
88. მხ/ფ „... იწრთობოდა ფოლადი“
89. „მზიურის“ მომღერალი თამრიკო ...
90. მისტერ ბინი როუენ ...
91. შენობა: ინახავენ ფულს
92. მომღერალი ... სტიუარტი
93. მსახ. ... ბეგაშვილი
94. მომღერალი ... ჰიუსტონი
95. კოვბოის ქამანდი
96. ნახტომი: ...-მორტალე
97. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
98. მწერალი ... ბარნოვი
99. ცეკვა „მულენ-რუჟში“
100. რეჟისორი ბერნარდო ...
101. იაპონური თეატრი
102. ტალახის კურორტი საქართველოში
103. ფრინველის სამყუდრო
104. რეჟისორი ... დოლიძე
105. ზღვა კუბასთან
106. ნაბიჯი ბალეტში
107. გიორგი დანელიას ფილმი
108. მხ/ფ „ზოლიანი ...“
109. ცხენის კუდის ბალანი
110. ბალეტი „გედების ...“
111. სისხლნაკლებობა
112. მსახიობი ... დევისი
113. სპექტაკლი „... ვოდევილები“
114. ნაგებობა მდინარეზე
115. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
116. მზესუმზირა, ანუ ...
117. საყრდენი სვეტი
118. ბოსტნეული
119. მსახიობი შერონ ...
120. მსახიობი ... ფაროუ
121. ზღაპრული ჯუჯა
122. რეჟისორი კლოდ ...
123. რეპტილია ზოგადად
124. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
125. სომხეთის ძველი დედაქალაქი
126. ... არის ბედი შენი
127. მსახიობი ... ისტვუდი
128. ოთხიანი ნარდში
129. მდინარე საფრანგეთში
130. ყვავილი
131. პირის ღრუს გაგრძელება
132. შოკოლადის ხის ნაყოფი
133. კომპოზიტორი ... გაბუნია
134. ხურდა ფული საფრანგეთში
135. თავისუფალი ფორმის ნაწარმ.
135. მსახიობი ... ქიქინაძე
136. ტბა პერუში
137. მსახიობი ... კრუზი
138. ტივი „...-ტიკი“
139. დონ კიხოტის ცხენი
140. თანხმობის ფორმა
141. რეჟისორი შოთა ...
142. იაპონური თეატრი
143. ეკვადორის დედაქალაქი
144. ყაიმი
145. მხარე საქართველოში

პასუხები: 1. მარიხუანა; 2. სამანიშვილის; 3. აზნავური; 4. მარია; 5. კოლორადო; 6. მასტროიანი; 7. რამაზანი; 8. ასკეტი; 9. მინსკი; 10. პასპორტი; 11. პუდელი; 12. რა; 13. კალო; 14. ნიავი; 15. პიერ; 16. კურარე; 17. კია; 18. ბიანკი; 19. დრიუ; 20. ურემი; 21. „ნივა“; 22. „ფრიდა“; 23. პოლო; 24. ანტარქტიდა; 25. შაურმა; 26. მიამიტი; 27. სეული; 28. კლუნი; 29. სტალონე; 30. ეკლესია; 31. დოსტოევსკი; 32. ვენესუელა; 33. ანკესი; 34. ხრამი; 35. კლიმ; 36. კულინარიული; 37. ლიახვი; 38. ხმელი; 39. სასა; 40. კრისტო; 41. სენა; 42. ისლამაბადი; 43. ასანთი; 44. კეკე; 45. ატლასი; 46. კუ; 47. იმედა; 48. ხისტი; 49. კიმ; 50. იაქე; 51. ოპერა; 52. კროუ; 53. იმრე; 54. ბულბულ; 55. ლაპისი; 56. პაუზა; 57. სანდი; 58. მერია; 59. ვაის; 60. კოლმეურნე; 61. ყულაბა; 62. კალია; 63. ლიანდაგი; 64. რაი; 65. მიკ; 66. მარაკანა; 68. რაფსოდია; 68. ასკურავა; 68. ორნამენტი; 70. ბახალა; 71. ბურატინო; 72. ლიანოსი; 73. ბარბექიუ; 74. ირი; 75. აფრა; 76. მშიშარა; 77. მატიანე; 78. პარაშუტისტი; 79. ტატუ; 80. ხაჭო; 81. მარაო; 82. დოლაბი; 83. ტროლეიბუსი; 84. რერიხი; 85. პანტა; 86. ბადრი; 87. გია; 88. როგორ; 89. ჭოხონელიძე; 90. ატკინსონი; 91. ბანკი; 92. როდ; 93. შორენა; 94. უიტნი; 95. ლასო; 96. სალტო; 97. ორანგუტანგი; 98. ვასილ; 99. კანკანი; 100. ბერტოლუჩი; 101. კაბუკი; 102. ახტალა; 103. გალია; 104. სიკო; 105. კარიბი; 106. პა; 107. „აფონია“; 108. რეისი; 109. ძუა; 110. ტბა; 111. ანემია; 112. ჯინა; 113. ძველი; 114. ხიდი; 115. სირ; 116. ლილიფარა; 117. ბოძი; 118. კიტრი; 119. სტოუნი; 120. მია; 121. გნომი; 122. ლელუში; 123. გველი; 124. გუიმპლენი; 125. ანისი; 126. სადაც; 127. კლინტ; 128. ჩარი; 129. ლუარა; 130. ია; 131. ხახა; 132. კაკაო; 133. ნუნუ; 134. სუ; 135. ესე; 135. დოდო; 136. ტიტიკაკა; 137. ტომ; 138. კონ; 139. როსინანტი; 140. კი; 141. მანაგაძე; 142. ნო; 143. კიტო; 144. ფრე; 145. გურია. იკითხება: ხინკალი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანატი, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტი და ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფაკულტეტის დეკანის ყოფილი მოადგილე, ღვაწლმოსილი პედაგოგი

**სულიკო გაგუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## ერთი შოპინგი = სპორტულ დარბაზში ვარჯიშს



ალბათ, გინახავთ, როგორი ბედნიერი სახით დადის საყიდლებზე ქალი, კაცი კი მას სულ ბუზღუნ-ბუზღუნით მიჰყვება უკან...

თქვენ წარმოიდგინეთ, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს გასახარად ნამდვილად აქვთ საქმე, რადგან შოპინგის დახმარებით ისინი არა მხოლოდ სასურველ და ხშირად, ბევრ ყოვლად გამოუსადეგარ ნივთს ყიდულობენ, არამედ ჯანმრთელობის მდგომარეობასაც მნიშვნელოვნად იუმჯობესებენ.

კვლევების შედეგად, რომელშიც სამი ათასამდე ქალმა მიიღო მონაწილეობა, დადგინდა, რომ ერთი სუსტ სქესს ზუსტად ისეთ შედეგს აძლევს, როგორსაც ისინი სპორტულ დარბაზში ვარჯიშისგან იღებენ.

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს ისიც, რომ წლის განმავლობაში, მაღაზიებში სიარულით ქალები, საშუალოდ, 154 კილომეტრს გადიან.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაღაზიაში 3-საათიანი სიარულის შედეგად, 495 კალორია იწვება, ანუ 5 კალორია წუთში.

– თუკი ამ ყველაფერს ჩანთების წონასაც დავუმატებთ, გამოდის, რომ მაღაზიაში სიარულს სუსტი სქესისთვის ვარჯიშის ტოლფასი შედეგები მოაქვს და თვის მანძილზე 47985 კალორიას აწვევინებს, – განმარტავენ სპეციალისტები.

ესეც თქვენი უწყინარი შოპინგი!

***myjane.ru***

## სტომატოლოგთან კბილების გაწმენდა ჯანმრთელობისთვის სახიფათოა



ძალიან სამწუხაროა, რომ ყველაფერი, რაც მიღებული და კარგად ფესვგადგმულია, თურმე, სახიფათო და სარისკოა. მაგალითად, ერთი შეხედვით უსაფრთხო (მაგრამ უსიამოვნო) პროცედურა, რომელიც სტომატოლოგთან კბილების გაწმენდას გულისხმობს, კანადელი მეცნიერების მტკიცებით, ჯანმრთელობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა სამასამდე მოხალისემ მიიღო. ისინი ორ ჯგუფად გაყვეს: პირველს მხოლოდ კბილების გაწმენდის პროცედურა ჩაუტარდა, მეორეს კი – კბილის ამოღების. ამის შემდეგ კვლევის მონაწილეებს სპეციალისტებმა სინჯები აუღეს, რათა ორგანიზმში ბაქტერიების რაოდენობა დაედგინათ (ასეთივე პროცედურა მათ დასაწყისშიც გაიარეს).

აღმოჩნდა, რომ საშიში ბაქტერიები მათ სისხლში გამრავლდა, ვინც კბილი ამოიღო, თუმცა ბევრი ბაქტერია იმ ნაწილსაც დაუგროვდა, რომელმაც მხოლოდ კბილის გაწმენდის პროცედურა ჩაიტარა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***beta.novoteka.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**11 ივნისი:** შეიძლება დღეს დიდი და მრავლისმომცველი პერსპექტივები გაგიჩნდეთ. რომელიმე ერთი უნდა აირჩიოთ, საეჭვოა, ყველაფერი ერთბაშად დაძლიოთ.

**კურო 22.04-21.05**

**11 ივნისი:** დღეს თავს საუკეთესოდ იმ შემთხვევაში იგრძნობთ, თუკი საქმეში ბოლომდე ჩაიძირებით. იმედია, ეს საქმე ავანტიურა არ იქნება.

**ტყუპები 22.05-21.06**

**11 ივნისი:** არ დამალოთ თქვენი სურვილები, შეიძლება ვიღაცას იგივე სურს და თქვენი შესაძლებლობების გაერთიანება შეძლოთ. ასე უფრო გაგიადვილდებათ შედეგის მიღწევა.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**11 ივნისი:** კითხვაზე, რომელიც გაწუხებთ, თქვენს გარდა პასუხს ვერავინ გასცემს. რაც უფრო გააჭიანურებთ პასუხის მოძებნას, მით მეტ დროს დაკარგავთ ფუჭად.

**ლომი 23.07-22.08**

**11 ივნისი:** არ დახარჯოთ ძალები იმაზე, რასაც თქვენი შეფასებით, აზრი არ აქვს. მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვიან ისინი, ვინც ამ საქმეში ჩაგრთოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**11 ივნისი:** შეიძლება ვიღაცის მიმართ ინტერესის გამოხატვის არცთუ საუკეთესო საშუალება გამოძებნეთ და ამ ვიღაცას ვერ გაუგია, რა გინდათ მისგან. მეტი უშუალობა გამოიჩინეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**11 ივნისი:** ამ დღეს სხვადასხვა სახის შემთხვევითობები დიდ როლს ითამაშებს. ამიტომ რაიმეს საგულდაგულოდ დაგეგმვას აზრი არ აქვს.

**მორიელი 23.10-21.11**

**11 ივნისი:** საოჯახო საკითხების მოგვარება ისე არ დაიწყოთ, თუ ყველაფერს ფურცელზე არ დააფიქსირებთ. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, ეს ჩანაწერი გაუგებრობებს აგარიდებთ თავიდან.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**11 ივნისი:** დღეს საკმაოდ მაღალი შემოქმედებითი პოტენციალი გექნებათ და დასანანი იქნება, თუ დანიშნულებისამებრ არ გამოიყენებთ. ოღონდ იცოდეთ, ეს საქმე დიდ ძალისხმევად დაგიჯდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**11 ივნისი:** დღეს საკუთარი პრინციპებიდან ოდნავაც არ გადაუხვიოთ. თქვენი პრინციპულობა სათანადოდ დაფასდება, დაფასება კი, ვისგანაც არ უნდა იყოს, სასიამოვნოა.

**მერწყული 20.01-18.02**

**11 ივნისი:** დილიდან დღის ბოლომდე აქტიური იქნებით. თუ არ გინდათ ზედმეტად გადაიღალოთ, ვინმეს საქმიანობისას თავზე ნუ დაადგებით, დაგასაქმებენ.

**თევზები 19.02-20.03**

**11 ივნისი:** მიეცით თქვენს წარმოსახვას უფლება, რეალობას მოგწყვიტოთ. ჯერ ერთი, ეს დასვენებისთვის კარგი საშუალებაა და მეორე – ღირს კი დღევანდელი რეალობა იმად, რომ მის ჩარჩოებში დარჩეთ?

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

**ანაზღაურება 640 ლარიდან**

**გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## სკოჩი ჯანმრთელობისთვის ძალიან სახიფათოა?



დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სკოჩი ნებისმიერი ადამიანის ხელში ერთხელ მაინც მოხვედრილა – ხან რა არის მისაწებებელი და ხან რა. ჰოდა, ეს საჭირო ნივთი ყველას სახლში მოიძებნება, მაგრამ, ალბათ, არავინ იცის, რომ სკოჩი ჯანმრთელობისთვის ძალიან სახიფათოა, რადგან ის რენტგენული დასხივების წყარო ყოფილა.

ასეთი მოსაზრება პირველად საბჭოთა მკვლევარებმა ჯერ კიდევ 1953 წელს გამოთქვეს, თუმცა მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეში. შესაბამისად, ამის შესახებ, ფაქტობრივად, არავინ იცოდა.

გავიდა საკმაოდ დიდი დრო და დღეს საკითხს კვლავ დაუბრუნდნენ.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ მოვლენის ახსნას მეცნიერები ვერაფრით ახერხებენ და ალბათ, ასეთი ხანგრძლივი დუმილიც ამის ბრალი თუა. ერთი რამ მაინც ფაქტია, სკოჩს სპეციალისტები „ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშს“ უწოდებენ და გვირჩევენ, მისგან თავი მაქსიმალურად შორს დავიჭიროთ.

***myjane.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ვაჟმა სახლში საცოლე მიიყვანა, მშობლებს უნდა გააცნოს:

– დედა, მამა, აი, ეს არის ჩემი საცოლე — 50 წლისაა და 5 შვილი ჰყავს.

– ... (მშობლები შეშფოთდნენ)

– მისი ყოფილი ქმარი ნარკომანია, ცოლ-შვილს სახლი წაართვა და საცხოვრებელი აღარ აქვთ.

– ... (მშობლები სულ გადაირივნენ)

– ჰო, მართლა, ჩემს საცოლეს შიდსი აქვს და ჰეროინს მოიხმარს.

– ... (ნერვიულობისგან მშობლები ველარ აზროვნებენ)

– მას ელენე ჰქვია...

– ... (მშობლები ხმის ამოღებას ვერ ახერხებენ)

– ჰა-ჰა-ჰა! მოგატყუეთ!

– ... (მშობლებმა შვებით ამოისუნთქეს)

– მას ნინო ჰქვია...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ⋙ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაძვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.44